 წინ მოგვეგებნენ მსახურნი,
 სახლის კარები გაგვიღეს,
 კრება ქნეს, ჰირი ეძიეს,
 ბევრი აიღეს, დაიღეს,
 მახვრიტეს, მასვეს წამლები,
 პირის ლაშები დამიღეს.

V

ადგილი საცხოვრებელი
 მომცეს სამოთხის საღარი,—
 მითით, მინდვრით მუდამ მწვანითა,
 წყარო შარბათით დამტკბარი,
 შიგა ვარ, ვცნოსავ ყვავილთა,
 მაგრამ სიამე საღ არი?!

ისევ იმ ტანჯულ ქვეყანას
 ეს გული არა სტოვებდა.
 როგორც შობილი მშობლისა
 მადლიანს ძუძუს მოვბა.
 მაშ რას იზამდა, თუ ძუძუს
 დედა არ მოაწოვებდა!?

მოვწოვე ძუძუ და სხვაფრივ
 დაიწყო მეკრღმა დაღენა,—
 მშფოთვარმა იწყო გულიდან
 სისხლმა ძარღვებში ვადენა.
 ტანჯვა შევიგნე ბედკრულთი,
 მწარე შამესმა მათ ენა.

მას შემდეგ ყურნი ამებნეს,
 გულს ჰკლავდა მათი ქვითინი,

მზად ვიყავ წამებულისა
მიმედო ეკლის გვირგვინი!

ჩემი სიცოცხლე გადავდე
ქვეყნისთვის სანთლად ამენტო,
მისთვის მებრძოლა მტარავლთან,
სისხლი მიწისთვის შამერთო.
რომ მოპარული საუნჯე
ვეგბ როგორმე წამერთო,
და მისთვის ბევრჯელ და ბევრჯელ
გულში გენია დამენტო!

VI

გრძნობა ვერ დამიშოშმინა
სამოთხის მშვენიერობაჲ,
ტანჯვა ვერ შემიმსუბუქა
იქ ხორცის ნებიერობაჲ,
ვერც გულს უპოვა წაბლი
ნაქებმა გონიერობაჲ.

ის ზეციური მშვენება,
ოცნების დამატკობელი,
ის ცოდვილთათვის უღირსი,
განდევილების მშობელი,
უქმი ოცნების შექმნილი,
ვერ შევიყვარე და ვერა.
გრძნობას სხვა აფრთოვანებდა,
გულს სხვა ნიაჲ დაჰბერა.

მხოლოდ წმინდად და სვეტაკად
სჩნდა ჩემი ტანჯვის საგანი,
როგორც მზე გასაფხულისა
მაისის წვიმიტ ნაბანი.

VII

მერე ხელთ მომცა მე ჩანგი
თავისებურად მელერავი,
ამიბა ტანჯვის სიმები,
ზედ კენესა სეფლით მბერავი;

მომცა კაცთ გულთან საველელი
ბილიკი გაუკვერავი,
გული, შავგული, მაგრამ ჯერ
ცხოვრების გაუქელავი.

ვიცი ეს გული მე კრულსა
არას დამაყრის ხეირსა,
ვიცი გონებს დავკარგავ,
სოფელი ნახავს სეირსა,
ვიცი ჭკუილამ შევცდები,
ამას მიქადის მე ისა.

ცისა და ქვეყნის მშვენება
ჩემთვის გაჰქრება ერთ წამსა,
ველარ შევიგნებ სხვის ტანჯვას,
ვერც სირცხვილს გულის მქვეჩანვას!
იქნება იერუსალიმს

ქვეა არეულმა მივმართო,
სოფლით საბრალოდ გასულმა
ლოცვა უფლისა წარემართო,
და ვით გოლგოთა, ლეშისა
საწამებელი გაემართო!

VIII

ჰოი რუსთველო, რუსთველო,
ქკვათა მფლობელო მთვარეო!
ვაჰმე, რამ გაგაბედინა,
უარ ჰყავ თავის მზარეო,
სად წახველ? რისთვის? ვისთვისა?
იულა გაახარეო!

აღბათ გონებამ გიმტყუნა
და იმან გაგაბედინა,
სულის საქმეზედ გაგზანა,
კალამი დავადებინა
და ფიქრი აღმა მფრინავი
სამუდმოდ წავადებინა!

თ. რაზიკაშვილი.

(შემდეგ იქნება)



სულის სილაღე!...

სულის სილაღე, ნა'ხო ღვათება,
 შენდამი ტრფობია დამსებული
 შენსკენ მოვილტვი... და კრძალვით გიმღერ
 სახლსა ჭანგებს ჩანგ მომართული.

ვიშ, რა რიგ მშენის ტანი ზარიფი
 ზღაპრულადა სარ ტურფად ჩაკაში,
 შენს ვარდის ბუჩქით ეღვარება კრთის,
 ტერსე კიბრქინავს ცის აიაში.

თვით მშენიერების სახიერებამ
 რომ დავუთოს შენთან ვარდმა ფურჩქინილმა,
 შენს სხივთ მოფრქვევით ამბრი იმატოს
 ვაგარ-აფრილმა კლემა-მოსილმა.

მეც ვინატრებდი შენს ასლთ უთყნით
 თცნების კონცა მანეტარებდეს,

შავად მღელვარსა, სულთქმით მგოდებელს
 ტკბილ აღმაფრენას მაფრთაფრანებდეს.

სემი ტლუ ნავი ფიქრთ ღელვილ ზღვა'სე
 ტალღებს მოაშობას შენსკენა სცურავს,
 გული სიბბლეს შენ შემოკნივის
 და მწუხარებას ცრემლებად სწურავს.

გაზაფხულია — ვსების სღარო
 ბუსება ტურფად აუვავებულა,
 უფგული ხარობს... შეგვის ებანი
 ციურ ჭანგებით აჩქარებულა.

მეც გამახარე, გულის უფალო,
 უმანგო სშეტვა სიუფარულითა,
 ნუ გამცვლი სხვაზე, მეც მანეტარე,
 ტრფობის უმრეტელ საგაღულითა.

დ. თურდოსპირელი.



(თარგმანი)

ეუქღანი ს—ოს.

შეხე, ცელქ ვარსკლავს ლაქვარდ წიაღში
 ვით მოსხლტა სხივი ცეცხლოდ აღზნებულს;
 მაგრამ მცირედ ხანს შესტრფოდა ვნებით,—
 მყის ჩაესვენა არ ყოფნის უფსკრულს!..

ცამ არ მოისხა გლოვის სულაზა,
 ლამე კვლავ დარჩა ოცნების დარი;
 მხოლოდ სულმა სცნო მწვავე იარა,
 დაფერფულა გული გრძნობით დამწვარი!

ბრანდი

არ დამივიწყო

(გუძღვნი ო. ზ-ას)

როდესაც, ტურფავ, წყლის პირად
ვიდგეთ, შევსტრფოდეთ მდინარეს,
მაღალ კორდიდან მოსხლეტილს
ჩუჩხუხით ჩამომდინარეს!

როს ვნახოთ ვარდნი, ზამბახნი
ცვარ-ნამით ჩაკინძულები;
და გვესმას იქვე ბულბულის
გალობა —კრიმანქულები!—

ამ დამივიწყო მე ჩემი
ნამდვილი მოვალეობა:
—სამშობლოს სამსახურშია
გამოვიჩინო მხნეობა!

როცა მთას წვერზე მოვექცეთ,
იქ ვეძლეოდეთ შეგებას;
ვგრძობდეთ სილაღეს, სიამეს,
სიმშვიდეს ნეტარებას!

როს გამოგვედგას ციდანა
სვეტი წრფელ სიყვარულისა,
გულ-შეკრდს დაგვეცეს შვის სხივი
მომნიქვე სიხარულისა!—

არ დამივიწყო მაშინაც
მე ჩემი მოვალეობა:

—დაჩაგრულ მოძმის შეველაში
გამოვიჩინო მძლეობა!

შავი თვალებით დატყვევნილს,
მოხიბლულს შავი თმებითა,
რა დამარჩენია, თუ არა
შემოგაყურებდე გრძნებითა!

მახსოვს თვალებით მანიშნე:
—შენ მიყვარხარო, სხვა არა!—
და ფიციც დასდე, როს გულმა
„ნიშანი“ აღარ იკმარა!

დავრწმუნდი... ვჯერვარ, კეკლუცო,
მე შენგან ამდენ ტრფიალსა...
ბოლომდე მასვი, თუ მასმევე
სასიხარულო ფილასა!...

არ დამივიწყო ამიტომ
მე ჩემი მოვალეობა:
—შპირია ვაე-კაცს სიმარჯვე
გულადობა და მხნეობა,
მომქმესთან ძმური კავშირი,
მტერთან-კი მძლეობა-მძლეობა...
შრომა და შრომა უამრი,
არ უქმად მოცალეობა!

ლალო გეგოჭკორი.

სოციოლოგია

IV

ჰერბერტ სპენსერი

თუ კონსტა პირველად მწეობრად განმარ-
ტა და დასასაუთა სოციოლოგიური მოძღვრე-
ბასი, განსხვდვრა მისი შინაარსი და მისწრა-
ფებანი, სხენსურმა ისეთი ახალი აზრები შეი-
ტანა ამ მოძღვრებაში, ისეთი ახალი სახუძ-

ველი ააგო, რომ სოციოლოგია, როგორც
მეცნიერული დარგი, ძღიერ მჭიდრო ნიადაგ-
ზედ დადგა. დარგინზედ შვიდი წლით ადრე
სხენსურმა ისეთი ახალი აზრები კამოსთქვა,
რომლებიც შემდეგ უფრო შემუშავებული და

შეკავშირებულია დარწმუნება გამოაქვეყნა და რომელსაც „ეოლოგიონიზმი“ დარქვა (იხ. The Development Hypothesis; „Progress, ist Law and Cause“, 1857 წ.), The Ultimate Laws of Physiology“) სპენსერის აზრი, შემდეგ დასაბუთებული, სისტემატიურად დარწმუნისაგან გამოთქმული მოკლედ ან რას შეიცავს: ცხოვრება თან და თანური ცვლილება. იცვლება ცხოვრებაში ის პირობები და ფორმები, რომლებიც წევნ კარსეოთი არის, გარეგანი პირობების ზრდა და ცვლილება იმავე დროს შეიცავს შინაგან ფორმების და ბუნების შინაგანის ძალების ცვლას, ე. ი. როგორც გარეგანი ფორმა ბუნებრივი მოვლენებისა იცვლება, ისე იცვლება ამ ფორმების შემადგენელი ნაწილები და ის ძალები, რომლებიც მათ აწინააღმდეგობენ. მეტნიერება გვეხება, რომ შეიცვალა დედა მიწა, შეიცვალა ჰაერი, შეიცვალა ვარსკვლავ-მოვარე, ჰელასტების ცხოვრება და სხვა. იცვალა ელფერი ორგანიზმები ბუნებაში, ვინაიდან შეიცვალა არა ორგანიზმი ბუნებაში. პირუტყვები და მცენარეები ისე მჭიდროდ და მოკიდებულადაა არიან ერთი ერთ შორის, რომ ერთი ოჯახის, ერთი წყობის ცვლა, იწვევს ცვლას მეორე წყობის და მეორე დარგის. მაშასადამე, ორგანიზმ და არა ორგანიზმ ბუნებაში მუდმივი ზრდა, ცვლილება სდება, ე. ი. ზრდა არა მარტო ფორმების არამედ შინაარსის. არა ორგანიზმი და ორგანიზმი ბუნების ცვლილება ისე არის გადასართული, ისე არის შეხვედრული, ისეთ გარემოებას შექმნის, რომ ცვლილება ერთ რიგში იწვევს ცვლილებას მეორეში. ცხოვრებაში მუდმივი ზრდა და ცვლილება სდება, ვინაიდან ცხოვრება თან და თან რთულდება, მაგრამ ამ ცვლილების ზრდის დროს ზოგიერთი ბუნების შემადგენელი ელემენტები, ცხოველები და მცენარეები იღუპებიან, რწიან მხოლოდ ისეთები, რომლებიც მომხდარულნი არიან გადატანის ცვლილება და

გაუძღონ ახალს ცხოვრების პირობებს; მხოლოდ სუსტნი და დატანნი იღუპებიან. მაშასადამე ასეთი ძლიერი და მარჯვე, ცოცხლნი პირობებანი გადასცემენ ძაღს შემდეგ, მომავალ გვარეულობას და ასე თან და თან. **ეოლოგია**, თან და თანური ზრდა, ცვლილებანი, ე. ი. გაუმჯობესება, გაძლიერება ცხოველების, მცენარეების, ორგანიზმი ბუნების, წარმოადგენს **ბიოლოგიურ საზოგადო კანონს**. ცხოვრებაში სულ წინ სვლა და გაუმჯობესება, თვისებების გაძლიერება არსებობს, ცხოვრება წინ მიდის და არა სდგას ერთ ადგილს. ბუნებრივი მრავალ ფეროვანობა შედეგია მხოლოდ ზრდის, ცვლილებების და ეს მრავალ ფეროვანობა წინ და წინ შექმნილი არ არის.

განვითარების, ეოლოგიის კანონი საზოგადო, მოფლიო კანონია; მის მოქმედებას ექვემდებარება არა მარტო ორგანიზმი ბუნება, არამედ საერთოდ კაცობრიობა, საზოგადოება. საზოგადოება, სპენსერის აზრით, ერთი განუყოფელი ორგანიზმი მთელია. 1873 წ. გამოვიდა სპენსერის The study of sociology, რომელშიც სპენსერი ცდილობს დაამტკიცოს სოციოლოგიის არსება, როგორც მეტნიერებისა, რა მიზანი და მისწრაფებანი აქვს მას. შემდეგ შრომაში Descriptive sociology“ სპენსერს აქვს შეტოვებული დიდადი ანტროპოლოგიური მასალა და ამ მასალის შემწიობით იკვლევს სხვა და სხვა გარე სოციოლოგიურ კითხვებს და ცდილობს განმარტოს სხვა და სხვა მოვლენანი საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც შედეგი ეოლოგიისა, განვითარებისა; ამ მიზნისადმი მისაღწევად სპენსერი აღწერს გარეგან პირობებს, რომელიც მოქმედებს ადამიანზე მკვ. შეეხება ბუნებას, მიწის ფორმებს, და შემდეგ შინაგან პირობებს, ე. ი. პირველ ეოლოგი ადამიანის ფიზიკურ ატეხულებას, მის გრძობას, კვლას და სხვა. სპენსერი დაუპირდაპირებს საზოგადოებას, რომ

გორც მთელ ორგანიზმს თითოეულ კერძო ორგანიზმს და ცდილობს დამტკიცოს, რომ სოციალური, საზოგადოებრივი ევოლუციის შეიცავს მხოლოდ ნაწილს საერთო მსოფლიოს ევოლუციისა. როგორც კერძო ორგანიზმს, ისე საზოგადოებას, როგორც ორგანიზმს, სხვაგვარი, ცხოვრების დასაწყისში უდევს სულ უბრალო ელემენტები; მხოლოდ შემდეგ ცხოვრებაში ეს უბრალო ელემენტები რთულდება, იზრდება და გადაატრებს შირველ ვოფილ ელემენტს. თავის დასაწყისში საზოგადოების აკუმულაცია ძლიერ მარტივია, მხოლოდ შემდეგში, განვითარების ევოლუციის შეწყობისას, ეს აკუმულაცია ისე იზრდება, ისე რთულდება, რომ გაგნება ამ აკუმულაციაში ძლიერ შიშვეს. საზოგადოების ცხოვრების დასაწყისში, ისე როგორც ცალკე ინდივიდის, ორგანიზმის, ნაწილების ურთიერთ შორის კავშირი თითქმის არ არსებობს, ნაწილების კავშირი მხოლოდ თან და თან ნელ ნელ იკავდება ფეხს და იძენათ იზრდება, რომ თითოეული საზოგადოებრივი ნაწილის ცხოვრება და მოქმედება დამოკიდებულია მთელი ორგანიზმის მოქმედებისაგან. საზოგადოების ცხოვრება არ არის დამოკიდებული მისი შემადგენელი ნაწილების ცხოვრებაზე. საზოგადოებრივი ორგანიზმის ნაწილები იბადებიან, იღუპებიან, მთელი ორგანიზმი კი არსებობს, როგორც ერთი რთული რამ, მისი აკუმულაცია სულ იზრდება და მასთან ერთად იზრდება საზოგადოების მოქმედება. რას გვეუბნება ეს დაკვირვება? იმას, რომ საზოგადოებრივი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები თან და თან რთულდებიან და მათ შორის თან და თან იზრდება ურთიერთ შორისი დამოკიდებულება. ეს ნაწილების მჭიდრო დამოკიდებულება აუცილებელია, ამას სპენსერი ისტეგრაციას უწოდებს. ამასთან ერთად თითოეული ნაწილი საზოგადოების ორგანიზმისა სულ სხვა და სხვა სახისა და ელემენტის არის, თითოეული

ნაწილის სახე ნათლად და ცხადად არის გამოხატული, საზოგადოება აშკარად არის დანაწილებული, ამას სპენსერი დიფერენციაციას უწოდებს. საზოგადოებისა და კერძო ინდივიდუუმის ორგანიზმის შორის მსგავსებისათვის არის დიდი განსხვავებაც. საზოგადოებრივი ორგანიზმს არა აქვს გარეგანი სახე, ფორმა; საზოგადოებრივი ორგანიზმის ნაწილები გაფანტულნი არიან დეამიწის ზურგზე; საზოგადოებრივი ორგანიზმის მთლის ნაწილნი ძლიერ მოძრავნი არიან, ადვილად იცვლიან ადგილს. საზოგადოებრივი ორგანიზმში თითოეული მისი შემადგენელი ნაწილი შეიცავს გრძობას, კერძო ორგანიზმში კი მხოლოდ ერთ ნაწილს აქვს გრძობიერება. ანალოგია საზოგადოებისა, როგორც ორგანიზმის და კერძო ორგანიზმის შორის, საუზრადღეობა, რასაკვირვებელია, მაგრამ აქ შესაძლებელია ძლიერი გადაატრება. შეიძლება გატაცებულ მკვლევარმა სრული ანალოგია გაატაროს კერძო ცოცხალი ორგანიზმის და საზოგადოებრივი ორგანიზმის შორის, მაგრამ დაკავშირებას შეცნობიერული მნიშვნელობა არ აქვს. ასეთი გატაცებელი ანალოგია აქვს მაკალითად სოფრანკეთის სოციალთაგ რეზე ვოზრის.

სპენსერის დეაწლი იმაში გამოიხატება, რომ მან ნათლად განმარტა ის აზრი, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება მუდმივ ცვლილებას, განვითარებას. საზოგადოების, როგორც ერთი განუყოფელი ორგანიზმის, განვითარება შეიცავს მხოლოდ ნაწილს საერთო მსოფლიო განვითარებისას. სპენსერმა გამოთქვა არა განუწყობი აზრები, არამედ თავის უმთავრეს სოციალთაგური შრომებში დიდი მასალის შექმნობით დაკვირვება სურათი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, დაკვირვებათხატა როგორ იზრდებოდა და რთულდებოდა ადამიანის გრძობიანი და წარმოდგენანი, როგორ იზრდებოდა ოჯახი და სხვ. ე. ი. თავისი საზო-

გადთებრივი აზრები დასახუთა მრავალ გვარი სოციოლოგიური სურათებით.

თავისი ცხოვრება; შეცნობილი მოდერნიზაცია, თავისი კონსერვატივი ზრდა სპენსერმა ასწერა თვითონ და დავიდატოვა ძლიერ საეუროპულ ავტობიოგრაფიას; ავტობიოგრაფიის ფრანგულ თარგმანს შემდეგი სსხელი აქვს:

„Une autobiographie, par. H. spencer, traduction par. H. G. Yarıgny, Paris, 1907 წ. გვ. 539; არის მოკლე რუსული თარგმანი მ. მიჟუგვის. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, დიდ სიამოვნებას იგრძნობს და ნათლად გაითვალისწინებს დიდებულ მეცნიერის დაუღალავ შრომას და მეცნიერისადმი თავდადებულ ამბავს.

სიმ. ავალიანი.



ქართული ზმნის ძირითადები და იმათი კანკლედობრივი წამომავლობა.

ლექსიკონი რომლისაზე ენისა შეიძლება იყოს მხოლოდ იმდენად სრული, მეცნიერულად საესე, — მაგალითად — „Dictionnaire étymologique de la langue française“ ე. ლიტრესი — რაოდენადაც თვითონ იგი ენამეტყველებს არის გამოკვლეული მეცნიერულად, როგორც მაგალითად ფრანსიულივე ენა.

ქართულ ზმნების ძირითადები არ იყო გამოკვლეული და შემუშავებული და ამიტომ ლექსიკონში იმათი არც თავი სჩანდა, არც ბოლო, — ძირეული კანონი შენობისა არ იყო ნაპოვნი.

ვიღრე ჩემს შრომას დავეუქმავდე, საჭიროდ მიპაჩნია, ჩვენი ზმნების ძირითადები დღესვე გავაცნო მოკლედ ქართველ საზოგადოებას და ამითი ლექსიკონის განვითარებას დავეხმარო.

აი, რა მპებდვინებს, ბ. რედაქტორო, გთხოვოთ, დაუთმოთ ამ წერილს თქვენს პატივცემულს ჟურნალში აღგილი.

I. ქართულ გრამმატიკაში თითქმის ყოველი სიტყვის ნაწილი ცვლებადია კანკლედობრივად. სახელი: არსებითი,

ზედშესრული, რიცხვითი, ნაცვალი, „ზმნა“ და აგრედვე ზმნის-ზედა, თანდებული, კავშირი და შორისდებული, ჰბრუნავენ ყველანი მეტყველების საჭიროებისა და გვარად.

მაგალითად: წრფელობითი და მიცემითი ფორმები: კაც—კაც-ს, ლამაზ—ლამაზ-ს, ოც—ოც-ს, მა—მა-ს, მი—მი-ს*), ზე—ზე-ს, ნუ—ნუ-ს, თანა—თანა-ს, მაგრამ—მაგრამ-ს, ვაი-უი—ვაი-უი-ს, ჰხევე—ჰხევე-ს, ჰფენ—ჰფენ-ს, ჰხელობ—ჰხელობ-ს, ჰსახლობ—ჰსახლობ-ს და სხვა.

II. სახელზმნა (verba) ანუ არსებითი სახელი მოქმედებისა და მდგომარეობისა (ყოფა—მოქმედებისა) აგრედვე კანკლედობრივად ცვლებადია, ჰბრუნავს როგორც საზოგადოდ ყოველი სახელი.

მაგალითად:

- 1. წრფელ. წერ , (ი) წველი,
- 2. ნათეს. წერ-ს(ი) „ წველი-ს(ი),
- 3. მიცემ. წერ-ს(ა) „ წველი-ს(ა),

*) მეგრული პირიანი—მა და სენური—მი, მ, ყ.

- 4. მოთ. (ნა) წერ-მან, (ნა)-წველ-მან,
- 5. მოქმედ. წერ-თ(ი,ა), „წველი-თ(ი,ა),
- 6. განით. წერ-ღ(ი)ე „წველი-ღ(ი)ე,
- 7. წოდებ. წერ-თ; „წველ-თ(წველი-თ).

III. კანკლედობის საფუძვლებად ქართული გრამმატიკა სცნობს, როგორც ვიცით *) ან სიტყვის ძირს მარტივად, ან სიტყვის ძირსავე ნაწარმოებს მარტივ ნაცვალსახელებითა (ა, ი, აი, ია):

- ა) კაც, ლამაზ, ოც, წერ, ცემ, ხევ, ფენ;
- ბ) კაცი, კაცა, კაცია; ლამაზი, ლამაზა, ლამაზია; ოცი, ოცა, ოც-ია;(ნა)ცემი, ცემა, ცემია; (ნა)ხევი, ხევა, ხევია; (ნა)ფენი, ფენა, ფენია.

IV. ყოველმა გაგებულმა ქართველმა იცის, რომ სიტყვები კანკლედობრივ ცვლებადობით გამოიხატევენ საგნების ურთიერთობას.

ხოლო ამასთან უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ქართულ სახელწმინდების კანკლედობრივ ცვალებადობით ქართული გრამმატიკა გვიჩვენებს უოფომოქმედების ურთიერთობას დროში, პიროვნებაში და რიცხვში, რისთვისაც მსახურებენ უპირველესად კანკლედობრივი საფუძვლები, რომლებზედაც ჰქმნება ქართული უფვლილება, და ამასთან ნაცვალსახელების მართებები**).

კანკლედობრივი შენობა უფვლილების ძირითადებისა.

V. წრფელობითი (nominativus) ფორმა, როგორც საფუძველი ბრუნვებისა, ჰქმნის პირველ რიგს ძირითადების უფვლილებაში:

- ა, ცემ, წერ, ხევ, ფენ, რევ, წევ;
- ბ, ცემა, წერა, ხევა, ფენა, რევა, წევა;
- გ, ცემია, წერია, ხევია, ფენია, რევია, წევია;

*) ბუნება ქ. ენის ეტიმ. შენობისა 1910 წ. გვ. 17—17. მ. ყ.

**) ibi. გვერდი 29, 30 და 21.

აქედან:

- ა., მ-ცემ, მ-წერ, მ-ხევ, მ-ფენ, მ-რევ, მ-წევ;
- ბ., მ-ცემა, მ-წერა, მ-ხეა, მ-ფენა, მ-რეა, მ-წეა;
- გ., მი-ცემ-ია, მი-წერ-ია, მი-ხევ-ია, მი-ფენ-ია, მი-რევ-ია;

ეს ძირითადები ანუ საფუძვლები უცვლელად ჰრჩებიან ქართულ ზმნის უფვლებაში, ხოლო მარტივი ნაცვალსახელები (ა, ი, მ, ვ, გ, უ) ცალ-ცალკედ ან ერთმანეთში შეუღლებით შეავსებენ და ამთავრებენ უფვლებას დროში, რიცხვში და პიროვნებაში.

VI. ნათესავობითი და მიცემითი ბრუნვა ჰქმნის მეორე რიგს ძირითადებისას, რომლის სახიერება ძველ ენაში განზორებულად იხმარება: ცემ-ს(ი)—ცემ-ს(ა); წერ-ს(ი)—წერ-ს(ა); ფენ-ს(ი)—ფენ-ს(ა); ხევ-ს(ი)—ხევ-ს(ა); რევ-ს(ი)—რევ-ს(ა); წევ-ს(ი)—წევ-ს(ა); ხოლო ახალს ენაში, ეს კანონიერი სიმძიმე შესუბუქებულია, რადგან ორივე ბრუნვის—ნათესავობითის და მიცემითისა—მეზასიათე არის „გამაფრთხილებელი“ ს-ანი და არა მარტივი მანძილ. მაჩვენებელი „ა“-ნი და „ი“-ნი; ამიტომ ორივე ბრუნვისაგან ერთი ძირითადი ფორმა ჩამოსხმულა უფვლილებისა: ს-წერ-ს, ს-ცემ-ს, ჰ-ხევ-ს, ჰ-ფენ-ს, ჰ-რევ-ს, ს-წევ-ს.

აქედან:

- ა) მ-ს-წერ-ს, მ-ს-ცემ-ს, მ-ჰ-ხევ-ს, მ-ჰ-ფენ-ს, მ-ჰ-რევ-ს, ა-ს-წევ-ს (სხვა ა-ჰ-წევ-ს);
- ბ) მი-ჰ-წერ-ს (სხვა მი-ს-წერ-ს), მი-ჰ-ცემ-ს (სხვა მი-ს-ცემ-ს: გული მი-ჰ-ცემ-ს, ხელს მი-ს-ცემ-ს) მი-ჰ-ხევ-ს, მი-ჰ-ფენ-ს, მი-ჰ-რევ-ს, მი-ჰ-წევ-ს (სხვა მი-ს-წევ-ს: ავადმყოფი მი-ჰ-წევ-ს, ნივთს იქით მი-ს-წევ-ს);

გ) მა-პ-წერ-ს, მა-პ-ხეც-ს, მა-პ-ფენ-ს, მი-პ-წერ-ს, ჩა-ს-წერ-ს, და-ს-ცემ-ს, ჩა-პ-ხეც-ს, მა-პ-ფენ-ს; და-პ-ფენ-ს, და-პ-ყოფ-ს და სხვა *).

VIII. მოქმედებითი ბრუნვა ჰქმნის მესამე რიგს კანკლედობრივ ძირითადებისას უღვლილებაში ძველებურად:

*) აქ მაგალითებში ყველგან ცხადია „ჰ“-ს საჭიროება, რადგან მისი კაინიური (ბუნებრივი) მნიშვნელობა ქართულ უფვლობაში აგებულებრივია და, სადაც ვერ ვგვძრძობთ და არც მისი კანონიერება შეგვისმუნია, იქ ჩვენ „ისთუ“ უეიტობით უარვჭყოფთ მას, რადგან აღბად „მისაურული შეუნდობლობა“ და კარუსება გვაიჭმულებს საკუთარ ბუნების განადგურებასა.

ვიღრე „ჰ“-ს უღელს უფვლილებაში უფრო ვრცლად გამოვამტკუნებდე, აქ მოკლედ ვიტყუე: შემდეგ: 1) „ჰ“-აე ზოგიერთ თანხმფანების ზედ-წინ გამოითქმის „ს“-ნად და დღეს სწორედ „ს“-ანის სახეურებითვე იწერება: ს-წერს, ს-ცემს, ს-ჭამს და სხვა; 2) სხვა თანხმფანების ზედ-წინ „ჰ“-აე ისევ თვინიერად სცხადდება და გამოიჭთქმის, როგორც მაგალითად ევროპული *h aspiré* (ამოსულთქმითი): ჰ-ფენს, ჰ-ეფეს, ა-ჰეფეს, ჩა-ჰეფენს, ჩამა-ჰეფეს, ჰტობს და სხვა; 3) ზოგჯერ მიმართალებით, მუხვად გამოითქმის, როგორც ევროპული *h muet*. — გული მი-ჰ-ცემს, საქმეს მი-ჰ-ჩენს, შინ მი-ჰ-ხმობს, ასე მი-ჰ-რჩევს და სხვა; 4) „ჰ“-აე ა, ე, ი, ო და უ-ნის გამოთქმას განაგრძობს უფვლიებრივს ფორმებში, როგორც *h muet* ინდოევროპულს ენაში, მაგალითად, გერმანული: *Hahn* (მაშადი), *ihr, ihm* (იბს), *steht* (სდვას), *Ohr* (ეური), *Uhr* (სათა); ქართულში: დამა-ჰ-ხიოს, დამა-ჰ-ფინოს, დამი-ჰ-წეროს, მი-ჰ-ცემს, მია-ჰ-ფინოს, აუ-ჰ-წეროს, შეგე-ჰ-წიოს და სხვა.

მ. უ.

ს-წერ-თ(ი), ს-წერ-თ(ა), ს-ცემ-თ(ი), ს-ცემ-თ(ა), ჰ-ხეც-თ(ი), ჰ-ხეც-თ(ა), ჰ-ფენ-თ(ი), ჰ-ფენ-თ(ა), ჰ-რეც-თ(ი), ჰ-რეც-თ(ა), ს-წერ-თ(ი), ს-წერ-თ(ა); ხოლო დღეს „სასადს“ ენაში შემოკლებულია ამ გვარად: ს-წერ-თ, ს-ცემ-თ, ჰ-ხეც-თ, ჰ-ფენ-თ, ჰ-რეც-თ, ჰ-დღი-თ, ს-ცდი-თ, ს-ჭრ-თ და სხვა.

აქედან:

- ა) მი-ჰ-წერ-თ, მი-ჰ-ცემ-თ, მი-ჰ-ხეც-თ, მი-ჰ-ფენ-თ, მი-ჰ-რეც-თ, მი-ჰ-წევ-თ და სხვა.
- ბ) მა-ჰ-წერ-თ, მა-ჰ-ხეც-თ, მა-ჰ-ფენ-თ, მა-ჰ-რეც-თ და სხვა;
- გ) მი-ჰ-წერ-თ (სხვაა მი-ს-წევ-თ, მი-ჰ-ცემ-თ (სხვაა მი-ს-ცემ-თ) მი-ჰ-ხეც-თ, მი-ჰ-ფენ-თ, მი-ჰ-რეც-თ, მი-ჰ-წევ-თ (სხვაა მი-ს-წევ-თ) და სხვა.
- დ) ჩა-ს-წერ-თ, და-ს-ცემ-თ, ჩა-ჰ-ხეც-თ, წა-ჰ-ფენ-თ, ჩა-ჰ-რეც-თ, შე-ს-წევ-თ, და-ჰ-ფენ-თ, და-სხვა.

VIII. განვითარებითი ბრუნვა ჰქმნის მეთორხე რიგს კანკლედობრივ ძირითადებისას უღვლილებაში თავის მესხსათე სწორედ „დ“-ითა, რომელსაც „ახალი მწერლები“ ვითომ განაძიბენ ჩვენი გრამმატიკიდან და მათ ბანს აძლევენ ჩიტრიერია კრიტიკოსები ჩინჩხვარა ოხუნჯობითა.

ს-წერ-და-იე, ს-ცემ-და-იე, ჰ-ხეც-და-იე, ჰ-ფენ-და-იე, ჰ-რეც-და-იე, ს-წევ-და-იე და სხვა.

აქედან:

- ა) მი-ჰ-წერ-და-იე, ს, თ; მი-ჰ-ცემ-და-იე, ს, თ; მი-ჰ-ხეც-და-იე, ს, თ; მი-ჰ-ფენ-და-იე, ს, თ; მი-ჰ-რეც-და-იე, ს, თ; მი-ს-წევ-და-იე, ს, თ და სხვა.
- ბ) მა-ჰ-წერ-და-იე, ს, თ; მა-ჰ-ხეც-და-იე, ს, თ; მა-ჰ-ფენ-და-იე, ს, თ; მა-ჰ-რეც-და-იე, ს, თ;
- გ) მი-ჰ-წერ-და-იე, ს, თ. (სხვაა მი-ს-წერ-და-იე), მი-ჰ-ცემ-და-იე, ს, თ; (სხვაა მი-ს-

ცემ-და-ი-ე, ს, თ), მი-ჭ-სევე-და-ი-ე, ს, თ; მი-ჭ-რევე-და-ი-ე, ს, თ; და სხვა აუარებელი ფორმები, ამ კვალად აშენებულები.

IX. წოდებითა ბრუნვა ჰქმნის მგუთუფ რიგს კანკლედობრივს ძირითადებისას უღვლილებაში.

ა) ს-წერ-ო, ს-ცემ-ო, ს-ძლი-ო, ს-ქიმ-ო; ჰ-ხი-ო, ჰ-ფინ-ო, ჰ-რი-ო, ჰ-ყარ-ო და სხვა.

აქედან:

ა) ა-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; ა-ჰ-ცემ-ო, ს, თ; ა-ჰ-ხი-ო, ს, თ, ე; ა-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; ა-ჰ-რი-ო, ს, თ, ე; ა-ს-წი-ო, ს, თ, ე;

ბ) ი-ჰ-წერ-ო, ი-ჰ-ცემ-ო; ი-ჰ-ხი-ო, ს, თ, ე; ე-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; ი-ჰ-წი-ო, აი-ჰ-რი-ო და სხვა.

გ) ე-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; ე-ჰ-ცემ-ო, ს, თ, ე; ა-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; მო-მე-ჰ-რი-ო, ს, თ, ე; შე-მე-წი-ო, ს, თ, ე და სხვა.

დ) მ-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; მ-ჰ-ცემ-ო, ს, თ, ე; მ-ჰ-ხი-ო, ს, თ, ე; ამ-ჰ-რი-ო, ს, თ, ე; ამ-ჰ-წი-ო, ს, თ, ე; და სხვა.

ე) მა-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; მა-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; მა-ჰ-წი-ო, ს, თ, ე; და სხვა.

ვ) მი-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; მი-ჰ-ცემ-ო, ს, თ, ე; მი-ჰ-ხი-ო, ს, თ, ე; მი-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; შემი-ჰ-რი-ო, ს, თ, ე; მი-ჰ-წი-ო, ს, თ, ე; (სხვაა მი-ს-წი-ო, ს, თ, ე) და სხვა.

ზ) მე-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; მე-ჰ-ცემ-ო, ს, თ, ე; გამე-ჰ-ხი-ო, ს, თ, ე; მე-ჰ-ფინ-ო, ს, თ, ე; ამე-ჰ-რი-ო, ს, თ, ე; შემე-ჰ-წი-ო, ს, თ, ე და სხვა;

თ) შეგე-ჰ-წი-ო, ს, თ, ე; ჩამი-ჰ-წერ-ო; გადამი-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; გადმოვეი-ჰ-წერ-ო, ს, თ, ე; და სხვა.

X. ბრუნვათა ზედკეცილობის კანონმა გვიჩვენა *), რომ ერთხელ დაბრუნებული

სიტყვის რომელიმე ფორმა ჰხდება საფუძვლად კანკლედობისა, ე. ი. იღება იგი წრფელობით ბრუნვად და კვალად მიეცემა განმეორებულ ბრუნვას; სწორედ ამ გვარადვე კანკლედობრივი ძირითადი უღვლილებისა განიცდის კვალად ბრუნვათა ზედკეცილობასა და, ამ გვარ ნაცვალებადი, ჰხდება უღვლილების საფუძვლად. მაგალითად ავიღოთ წოდებითი ბრუნვის ფორმა და იგი დავაბრუნოთ.

1. წრფელობითი ბრ. ს-წერ-ო, ს-ცემ-ო, ჰ-ხი-ო, ჰ-ფინ-ო;

ნათესაობითი }
2. და } -ს-წერ-ო-ს, ს-ცემ-ო-ს,
მიცემითი ბრ. } ჰ-ხი-ო-ს, ჰ-ფინ-ო-ს;

3. მოქმედებითი ბრ.—ს-წერ-ო-თ, ს-ცემ-ო-თ, ჰ-ხი-ო-თ, ჰ-ფინ-ო-თ;

4. განვითარებითი ბრ.—ს-წერ-ო-და-ი-ე, ს, თ; ს-ცემ-ო-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ფინ-ო-და-ი-ე, ს, თ;

5. წოდებ. ბრ. ს-წერ-ო-ო; ს-ცემ-ო-ო; ჰ-ფინ-ო-ო.

აქედან:

ბრუნვა-ზედკეცილი ძირითადები უღვლილებისანი ჰქმნიან რთულ ბრუნვის-წოდებით—მიცემით ფორმებს:

ა) ი-ჰ-წერ-ო-ს (სხვაა ა-ს-წერ-ო-ს), ი-ჰ-ცემ-ო-ს; ი-ჰ-ფინ-ო-ს, ი-ჰ-რი-ო-ს; ი-ჰ-წი-ო-ს;

ბ) ა-ს-წერ-ო-ს, (სხვაა ა-ჰ-წერ-ო-ს); ა-ჰ-ცემ-ო-ს; ა-ჰ-ხი-ო-ს; ა-ჰ-ფინ-ო-ს; ა-ჰ-რი-ო-ს; ა-ს-წი-ო-ს (სხვაა ა-ჰ-წი-ო-ს) და სხვა.

გ) მ-ჰ-წერ-ო-ს, მ-ჰ-ცემ-ო-ს, მ-ჰ-ხი-ო-ს, მ-ჰ-ფინ-ო-ს, ამი-ჰ-რი-ო-ს, ამ-ს-წი-ო-ს და სხვა.

დ) მა-ჰ-წერ-ო-ს; მა-ჰ-ცემ-ო-ს; დამა-ჰ-ხი-ო-ს; დამა-ჰ-ფინ-ო-ს; მამა-ჰ-წი-ო-ს; ამა-ჰ-შენ-ო-ს;

*) აბუნება ქართ. ენის ეტიმოლოგ. ზნობი-სა. 1910 წ. მ. ყ. გვერდი 20, 21 და 22.

ე) მი-ჰ-წერ-ო-ს (სხვაა მი-ს-წერ-ო-ს); მი-ჰ ცემ-ო-ს; მი-ჰ-ხი-ო-ს, მა-ჰ-ხი-ო-ს); მი-ჰ-ფინ-ო-ს (მო-ჰ-ფინ-ო-ს); ამი-ჰ-რი-ო-ს; მი-ჰ-წი-ო-ს (სხვაა მი-ს-წი-ო-ს) და სხვა.
 ვ) გადამი-ჰ-წერ-ო-ს; გადამი-ჰ-ხი-ო-ს; გადამი-ჰ-ფინ-ო-ს და სხვა.

XI. კანკელდობრივ ძირითადებად უღვლილებისა არა მარტო სახელზმნის საფუძვლები მოჰქმედებენ, არამედ სახელ-არსებითის ძირიცა მარტივად თუ რთულად ეძლევა როგორც კანკელდობრივის, ისე უღვლილებრივის ცვალებადობასაც.

სასწი, ხელი, სრული, მაგალითად, მიიღებენ შემდეგ უღვლილებრივის ფორმებსა:

1. წოდებ. — წრფელობითი სახლო-ხელო-ს, სრული-ო;
2. „ ნათ. მიცემითი — (ე)-სახლო-ო-ს, (გაა)-ხელო-ო-ს, (აა)-სრული-ო-ს;
3. „ მოქმედებითი — (ე)-სახლო-ო-თ, (გაა)-ხელოთ, (აა)-სრული-ო-თ;

4. „ განვითარებითი: (ე)-სახელებ-ოდ(ა-ი-ე), ხელო-(სნობ)-დ-(ა-ი-ე);
5. „ წოდებითი: (დაე)-სახლო-ო, (გაა)-ხელო-ო, (აა)-სრული-ო.

აქედან:

- ა) დაე-ჰ-სახლო-ო, ს, თ; შვა-ჰ-სრული-ო, ს, თ;
- ბ) გადამა-ჰ-სახლო-ო, ს, თ, ე; გამა-ჰ-ხელო-ო, ს, თ; შემი-ჰ-სრული-ო, ს, თ; და სხვა.

XII. ამ გვარად ქართულ უღვლილების ძირითადები საზოგადოდ კანკელდობრივის და კერძოდ ბრუნვა—ხედგეცილობის ჩამომავალნი არიან და მათზედ, როგორც საფუძვლებზედ, ჰშენდებიან.

სწორედ ამ ძირითად ბუნებრივ კანონის ამოკითხვა იყო საჭირო, რომ ჩვენი ქართული ეგრედ წოდებული „ზმნების“ არა კანონიერება, რაიც დღეს უაზრობად და უნდა ჩიჰთვალოს, უარქმნილიყო და იმითი თითქმის ყველა ჩვენი ზმნების რიგიანობა დამტკიცებულიყო.

ეს ძირითადები მოვაქციოთ შემდეგ სხმაში.

ქ ა რ თ უ ლ ი

კანკელდობრივი ფორმები უღვლილებისა.

Particip.

| Perfecti: | 1. წრფელობ. ბრუ. | | 2. ნ.ღ მიც. | 3. მოქმედ. | 4 განვითარებითი | | 5. წოდებითი |
|-----------|------------------|---|-------------|------------|-----------------|---------------------|--------------------------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| სა-წერ-ი | წერ, წერა, წერა; | | წერა; | ს-წერ-ს, | ს-წერ-თ, | ს-წერ-და-ი-ე, ს, თ; | ს-წერ-ო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ცემ-ი | ცემ, ცემა, ცემა; | | ცემა; | ს-ცემ-ს, | ს-ცემ-თ, | ს-ცემ-და-ი-ე, ს, თ; | ს-ცემ-ო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ხეუ-ი | ხეუ, ხეა, ხეა; | | ხეა; | ჰ-ხეუ-ს, | ჰ-ხეუ-თ, | ჰ-ხეუ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-ხეო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ფენ-ი | ფენ, ფისა, ფისა; | | ფისა; | ჰ-ფენ-ს, | ჰ-ფენ-თ, | ჰ-ფენ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-ფენ-ო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-რეუ-ი | რეუ, რია, რეა; | | რეა; | ჰ-რეუ-ს, | ჰ-რეუ-თ, | ჰ-რეუ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-რეო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-წევ-ი | წევ, წია, წეა; | | წეა; | ს-წევ-ს, | ს-წევ-თ, | ს-წევ-და-ი-ე, ს, თ; | ს-წეო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ღებ-ი | ღებ, ღეპა, ღეპა; | | ღეპა; | ჰ-ღებ-ს, | ჰ-ღებ-თ, | ჰ-ღებ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-ღებ-ო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ხეხ-ი | ხეხ, ხეხა, ხეხა; | | ხეხა; | ს-ხეხ-ს, | ს-ხეხ-თ, | ს-ხეხ-და-ი-ე, ს, თ; | ს-ხეხ-ო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ხან-ი | ხეუ, ხეა, ხეა; | | ხეა; | ჰ-ხეუ-ს, | ჰ-ხეუ-თ, | ჰ-ხეუ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-ხეო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-ტეუ-ი | ტეუ, ტია, ტეა; | | ტეა; | ს-ტეუ-ს, | ს-ტეუ-თ, | ს-ტეუ-და-ი-ე, ს, თ; | ს-ტეო (ს, თ, ე: ს, თ); |
| „-გობ-ი | გობ, გობა, გობა; | | გობა; | ჰ-გობ-ს; | ჰ-გობ-თ; | ჰ-გობ-და-ი-ე, ს, თ; | ჰ-გობ-ო (ს, თ, ე: ს, თ)* |

VIII. ცხადია, რომ „ზმნების“ უღვლილობა უმთავრესად ჰშენდება შვიდს ძირითადს ფორმაზედ. ა., წრფელბითისაზედ სამზედ: 1. წერ, 2. წერა, 3. წერია; ბ., სათ.—მიტეხითისაზედ ერთზედ: 4., წერ-ს (ი, ა), გ., მიტეხდებითისაზედ ერთ. ნ., ს-წერ-თ (ი, ა); დ., განვითარებითისაზედ ერთზედ და რთულზედ: 6, ს-წერ-და-ი-ე, ს, თ, (სწერდა, სწერდი, სწერდე, სწერდით, სწერდეს, სწერდეთ); ე., წოდებითისაზედ ერთზედ და რთულზედ: 7., ს-წერ-ო (ს, თ, ე; ს, თ); (სწერო-ს, სწეროთ, სწერე, სწერეს, სწერეთ).

XIV. ეს არის ის ქართული ძირითადები, რომლებს თანაბარადაც ლათინური გრამმატიკა თავისად გვიჩვენებს ძირითადებს, მაგალითად:

amo, amavi, amatum, amare;
 ან გერმანული: {Lieben, liebte, geliebt;
 {Trinken, trank, getrunken.

*) აგოგა, იგოგა, უგოგა, გსაგსა მოჭოგო (მოჭოგავს), მიჭოგოთ (მოჭოგათ), იგოგო, იგოგოთ და სხვა.

აქედან არის სხელი—გოგო, გოგონა (კახტა მოსიარულე). ეს სიტყვები ანუ ძირი ამ სიტყვებისა ინდოევროპული უნდა იყოს: ინგლისური—to go (სვლა, გოგა); გერმანული: gehen, gang, gegangen; რუსული: идти, идти, вѣдѣть; სომხური—გსა, გსა, გსა.

ეს ძველის ძველი ძირი გოგ, გუ, გოი, გეგ, გაგ — სიარულის, როგორც მოსიარობის, აზრის მატარებელი და ფონეტიკურად ცვალებადი ძირია; ქართულს გონებაში ჰბადავს, ადვიტებს ღამის სიარულის წარმოდგენას, მატარა და დიდი ქალის შინიან, საამურ სიარულს; ამიტომ თითონ ბავშვს ქალს დარქმევია — „გოგო“. ილ. ჯავახიძის „ბოთარ“.

XV. ჩვენი ზმნები „გვეჩვენებოდნენ“ „უბრალოდ (verbes irréguliers) რადგან ვერ მიგვეგნო მათი ძირითადები, მაგრამ, როგორც ღღეს ვხვდებით, თითქმის სავსებით ყველა ქართული ზმნა (verba) საკუთარს რიგიანობის წესს ემორჩილება და ღღეს ქართული ძირითადების გამოგნება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველი ზმნა რიგიანობის წესს მისდევს და მისი კანონიერი საგრამმატიკო ფორმადობა ღღეს სრულიად გამორკვეულია.

გავხვდეთ და ვიტყვი,—ჩვენი ზმნების რიგიანობა რაოდენადაც ღღემდის ძნელი, გზაკვალ გაუგებელი იყო და თავბოლო დაკარგულად გჩვენებოდა კაცს, სწორედ იმდენად ადვილი გასაგები, გზაკვალ განათებულ და სრულიად რიგიან ყოფილი უიძქმნა. სამწუხაროდ მრავალმა შრომამ ამაოდ ჩაუტარა ბევრს კეთილ მოსურნე მკვლევარსა წარსულში *).

ქართველი: კისო ბაღაშვილი დაჭოგმანებდა, გიორგის წარმოდგენით.

გოგ, გოგ-ს(ი) გოგ-ს(ა), გოგ-მან (აქედან გოგ-მანი, როგორც მაგალ. წერილ-მანი-ი), გოგ-თ (ი, ა), გოგ-და და გოგო. აქედამივსი შეცნობი მარრი ამ უბრალო ახსნას არ სჭირდება: იგი შეცნობი ამბობს: ქართული ,,ს-გოგ-მან-ები“ სომხური გუგ-ჟან-იდან არის, სიღო გოგვა (ფრინველზე ითქმისო?) ამ სომხურ ძირისა არ უნდა იყოსო“. ,,შეცნობიებათ“ იცის ზოგჯერ ძალად კიმიბა!?

ქართველი უბრალო, არა „კომპლექტორი“, ბიჭი ჩემოდან იტყვის სოღო შეყვარულ „ქალა-სზე: „შენი გოგმანის ჰირიმიო“, და ამით სომხური გუგ'ჟან-ი კი არა, უბრალო ქართული უნდა სთქვას—,ქალავ, შენი კოსტა, ღამისი სიარულის ჰირიმიო“. მ. ე.

*) მაქსსოგს და მოწამე ვარ, რომ მესამე მთვე წლების ერთმა თანამშრომელმა „საქარ-

XVI. კიდევ რამდენიმე მსგავსი. ზმნის ძირითადებია. ს-ღევ, ს-ღევს, ს-ღევთ, ს-ღვე-და-ი-ე, ს, თ, ს-ღი-ო, ს, თ, ე; ს, თ; თვე; თვეს, თვეთ, თვე-და-ი-ე ს, თ, თი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-ღევ, ჰ-ღევს, ჰ-ღევთ, ჰ-ღვე-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ღი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-რევ, ჰ-რევს, ჰ-რევთ, ჰ-რვე-და-ი-ე, ს, თ; ჰ-რი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-სევ, ჰ-სევს, ჰ-სევთ, ჰ-სვე-და-ი-ე, ს, თ; ჰ-სი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ს-ტვი, ს-ტვეს, ს-ტვეთ, ს-ტვე-და-ი-ე, ს, თ; ს-ტი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ს-ძვე, ს-ძვეს, ს-ძვე-და-ი-ე, ს, თ; ს-ძი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-ბნევ, ჰ-ბნევს, ჰ-ბნევთ, ჰ-ბნე-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ბნი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ს-ძლევ, ს-ძლევს, ს-ძლევთ, ს-ძლვე-და-ი-ე, ს, თ; ს-ძლი-ო, ს, თ, ე; ს, თ; ს-ჰამ, ს-ჰამს, ს-ჰამთ, ს-ჰამ-და-ი-ე, ს, თ; ს-ჰამ-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-ბამ, ჰ-ბამს, ჰ-ბამთ, ჰ-ბამ-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ბა, ს, თ, ი; თ; ჰ-პობ, ჰ-პობს, ჰ-პობთ, ჰ-პობ-და-ი-ე, ს, თ; (ა) ჰ-პ-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-სობ, ჰ-სობს, ჰ-სობთ, ჰ-სობ-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ს-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-წობ, ჰ-წობს, ჰ-წობთ, ჰ-წობ-და-ი-ე, ს, თ; ჰ-წ-ო, ს, თ, ე; ს, თ; ჰ-გობ, ჰ-გობს, ჰ-გობთ, ჰ-გობ-და-ი-ე, ს, თ; ჰ-გ-ო, ს, თ, ე; ს, თ; და სხვანი.

XVII. მრავალი მარტივი ზმნა გავაპრკვიე, ძირითადების მოძებნით ჰუმეოვიკრინებ და დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ გამოკვივულს კანკლილობა-უღვლილების კანონს ემორჩილება ბუნებრივად ქართულ ზმნა.

დასასრულ ვიტყვი, რომ მეცნიერების უარყოფა ყოველთვის აშკარა ნიშნია უმეტ-

თველოს მოამბე“-ისში ზმნა „წერ-ის“ ფორმები ათათასობით წერილ ნაწერებად შემოიკრიბა დიდ-სუფრას ქადაღებზედ, ვერ მიუჭიკნო ამ ზმნას ძირითადი წესი შენობისა, და დიდმა ხანგრძლივმა შრომამ 1861—1866 წ. ამაღლ ჩაუყარა.

მ. უ.

რებისა, რომლის არც ჩინჩხვარა ოხუნჯობა და ზეტიტინა კრიტიკა ვარგა საღმე, არც ბაგე-ვან-უხეჩილი მისი ძალადინჯა ლიმილი, რომლებშიც, ღმერთ-წინაშე, არა ჰყრიარა *).

XVIII. ტეზისები.

1. კანკლელობა უმთავრესი ზოგადი ეტიმოლოგიური ცვალებადობა არის ქართულს გრამმატიკაში.

2. უღვლილები არის კანკლელობაზედ დამყარებული კერძო გრამმატიკული ცვალებადობა ყოფა-მოქმედიბისა ღროში, პიროვნებში და რიცხვში. მარტივ პრეფიკსების წინ-წამებით.

3. ზმნის ძირითადები. რომლებზედაც ჰშინდება უღვლილება შვიდი კანკლელობრივ სახიერებისანი, არიან: მავალითად, ნა-ფინ-ი: ა, ფინ, ფენა, ფენია, ჰ-ფინ-ს, ჰ-ფინ-თ. ჰ-ფინ-და-ი-ე, ს, თ; ჰ-ფინ-ო, (ს, თ, ე; ს, თ).

4. უღვლილების აუცილებელი და აგებულიებრივი მიხასიათე მარტივი არის: ჰ-აე, რომელიც პრეფიქსად წაგბმის ზედ-წინ ზმნის ძირსა ანუ საფუძველს უღვლილებისს და გამოითქმის ოთხ გვარად: ა, „ს“-ანად; ბ, თვინიერად—„ჰ“-ად, როგორც ეგროპული h aspiré (ამოსულთქმითი); გ, მიმკრთალებით, მუნჯად, როგორც h muet, და დ., ხმოვნების (ა, ი, ე, ო და უ-ს) გამოთქმას ავკრძელებს, როგორც გერმანული h: Hahn. ihm, steht, Ohr და Uhr.

1910 წ.

მ. ქ. უიფიანი.

*) ჩემთვის შრომე. აღექვსანდრე ხსანაშვილის ურადღება მეტად დაუფასებელი იყო; მან შორეულმა ინება ჩემი მოსმენას; მაგრამ, არა სკანდინოროდ, ვიტყვი, რომ აქ ჯერ-ჯერობით, უადგილობის გაშო, მხოლოდ ორიოდ სიტყვა მოვაჭხსენე ბ-ის აღექვსანდრეს „ჰ“-აეის „ჩაგვსების“ შესახებ, რასაკერძეულა სრულეს მატევისტეკითა, ხოლო სავსე დასაბუთება შემდეგ იყოს.

მ. უ.

უცხოეთი

სასკოლო სისტემა მანკეიმში

ჰედაგოგიკის ერთ უმთავრეს მიზანს ყოველთვის შეადგენდა სწავლების მეთოდების შეფარდება ბავშვის ფსიხოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურობასთან. იქ, სადაც მასწავლებელს ჰქონია საკმე ბრძემბთან ან ყრუ-მუნჯებთან, თავის-თავად იბადებოდა აზრი, რომ შესაფერი ცვლილება სწავლების მეთოდებში შესაძლებელია განსაკუთრებულ, მათთვის სპეციალურად დაარსებულ სკოლებში. შემდეგ გადასდგეს კიდევ ერთი ნაბიჯი წინ — აღიარებულ იქმნა განსაკუთრებულ სკოლების საჭიროება ჩამორჩენილ და გონებრივად არა ნორმალურ ბავშვთათვის. ამისთანა „დამხმარებ სკოლები“ (Hiltschule) გერმანიაში არსდება 1867 წლიდან; ეხლა კი მათ შეხედებით გერმანიის ქალაქების უმეტესობაში. დაწყებული მოძრაობა ამ წერტილზე არ შეჩერებულა: დიდი ყურადღება მიექცა ბავშვის ფსიხოლოგიის შესწავლას და ექსპერიმენტებმა ამ დარგში მისცეს საფუძველი უფრო ღრმა ანალიზისთვის. ცნობილ ფსიხოლოგს კრეველინს არა ერთხელ გამოუთქოვს აზრი, რომ იდეალურ სასკოლო სისტემათ უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც შევირდებს ანაწილებს ჯგუფებათ იმის და გვარათ ვინ რამდენ ხანში ილღება, იქანცებაო. ფსიხოლოგი მაქს ბრანი (1897, Zeitschrift fiiv Schulgesundheitspflege) საჭიროთ სცნობდა შევირდების დაყოფას ნიქის მიხედვით ორს განყოფილებათ მაინც. აზრი, რომ ნორმალურ ბავშვებშიაც შეიძლება შეხედეთ იმისთანა განსხვავებას, რომელიც თხოუ-

ლობს ბავშვების ჯგუფებათ დანაწილებას, (კოტ-კოკათი ფხს იკიდებდა ჰედაგოგთა და ჰიგიენისტთა შორის, და ბოლოს განხორციელება ჰპოვა ჯერ ზეიმბერტის ცდებში (1891 წ.), შემდეგ სკოლების ორგანიზაციის რეფორმებში, რომელიც ქ. მანკეიმში ზიკინგერმა 1899—1901 წლებში გაატარა.

ზიკინგერი მიიყვანა ამ რეფორმებადის სტატისტიკის იმ ცნობებმა, რომელნიც ააშკარაებდნენ, რომ უდიდესი, რიცხვი შევირდებისა სტოვებს სკოლას, სანამ მის კურსს გაივლიდეს. 1899 წ. იმისთანა მოწაფეები, რომელთაც ვერ მიღწიეს 8 კლ., შეადგენდნენ ბერლინში 40 პროცენტს, მანკეიმში კი $\frac{1}{4}$ ეს გარემოება, ზიკინგერის აზრით, გვიჩვენებს, რომ სასწავლებლის მოთხოვნილებანი მოსწავლეების დიდი ნაწილისთვის შეუფერებელი და მიუწოდებელია, რადგანაც უკანასკნელთ არ შეუძლიათ ისე ჩქარა გაიარონ კურსი, როგორც მათ ნიჭით დაჯილდოვებულ ამხანაგებს; მცირე ნიქის პატრონი ან უნდა დარჩეს კლასში, ან ძალა დაჯანოს თავის თავს, რაც ძლიერ მავნებელია ჰედაგოგიურის და ჰიგიენურის თვალსაზრისით. ამ ბოროტებისთვის რომ ბოლო მოელო, ზიკინგერმა სახალხო სკოლების უმთავრეს კლასების გვერდით დაარსა ორი პარალელური რიგი, ვგრედ წოდებულ „დამხმარებ“ და „განმეორებითი კლასებისა“. პირველი რიგი, რომელიც შეიცავს ოთხს საფეხურს, წარმოადგენს ჩვეულებრივ სკოლას არა ნორმალურ ბავშვთათვის, არც მეტს

და არც ნაკლებს, მხოლოდ ის მჭიდრო-
თაა შეკავშირებული-საზოგადო სკოლის
ორგანიზაციასთან. უფრო საინტერესო
და ახალია ჩვენთვის განმეორებითი კლას-
ები. ზიკნგერმა დაარსა ამისთანა კლას-
ები იმ გონებრივად ნორმალურ ბავშვ-
თათვის, რომელთა შრომის უნარი სა-
შუალოზედ დაბლა იდგა იმნაირ მიზეზე-
ბის გამო როგორცაა, მაგალითად,
სისხლ-ნაკლებულობა და აქედან წარ-
მოშობილი სიდუნდლავე, აღმატებული
ნეროზობა, ჩქარი დაღლილობა, მხედ-
ველობისა და მსმენელობის ნაკლებუ-
ნება, ოჯახის კუდი პირობების გავლენა,
მძიმე ავადმყოფობა და სხვ. ამნაირ ბავ-
შვების სწავლა-აღზრდისთვის საჭიროა
მთელი რიგი სპეციალური პირობებისა,
რომელნიც შესაძლებლათ ხდიან მათ სუ-
ლიერ განვითარებას. უკანასკნელი სამი
საფეხური განმეორების სისტემისა (სულ
შეიცავს 6 ან 7 საფ.) ატარებს „დამთავ-
რებით“ კლასების სახელს Adsohlussklas-
sen). ამ კლასების მიზანია მისცეს დამ-
თავრებული განათლება იმ მოწაფეებს,
რომელთაც 8 წლ. სავალდებულო სწავ-
ლის დროს ვერ მოასწარეს მთელი კურ-
სის გათავება. დამთავრების კლასებში
წელიწადში გადიან შემოკლებით იმ საგ-
ნებს, რომელიც აღნიშნულია ნორმალურ-
სისტემის უფროს კლასების პროგრამაში.

მოსწავლეების გადაყენება - გადმოყენა
ხდება ამნაირათ: სკოლაში შესვლის დროს
ბავშვებს იღებენ პირველ ნორმალურ
კლასში. ერთი წლის შემდეგ ის მოწაფე-
ები, რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზების
გამო ვერ გადავიდნენ შემდეგ კლასში,
გადაჰყავს განმეორებითი სისტემის პირ-
ველ კლასში. აქ უმთავრეს ყურადღებას
აქცევენ იმ ცოდნას კი არა, რომელიცა
აქვს მოწაფეს, არამედ მის ფაქტიურს

ნიქს და შრომის უნარს. მოზესი, ერთი
თანამშრომელთაგანი ზიკნგერისა, დაბე-
ჯითებით მოითხოვს, რომ გადაყენა მოს-
წავლეებისა ერთი სისტემის კლასებიდან
მეორეში არ უნდა იყოს შეკავშირებული
რომელიმე გაყინულ ნორმებთან, არამედ
უნდა სწარმოებდეს ჰიგიენური და პე-
დაგოგიური მომენტების მიხედვით. თავის
წიგნში „Das Mannheimev Souderklassen-
system“ მას მოჰყავს კონკრეტული მა-
გალითები, რომელთაც ჰქონიათ ადგილი
სხვა და სხვა შემთხვევებში. ზოგი მოს-
წავლე პირველ წლიდან იჩენს ძალიან
ნაკლებ ნიქს, დუნდულაა, უხეიროთ
საზრდობს; ის გადაჰყავთ განმეორებით
სისტემის კლასებში, რომლის კურს გა-
დის რეგულიარულათ და ათავებს მეშვი-
დე კლასში. მეორე მოწაფე ბუნებისაგან
დაჯილდოვებულია უხვი ნიქით, მაგრამ
ავადმყოფობის გამო იძულებულია გამოს-
ტოვოს ბევრი გაკეთილები; ესეც გადა-
ყავს განმეორების კლასში, სადაც თავისი
ჩინებული ნიქის გამო ისეთს წარმატებას
იჩენს სწავლაში, რომ წლის ბოლომდის
ისევე გადმოჰყავთ ნორმალურ კლასში.
მესამე მოწაფე წარმოადგენს იმისთანა
ტიპს, რომელიც ძალიან მძიმეთ ვითარ-
დება; ათ წლამდის ის იმყოფება განმეო-
რების სისტემის კლასებში, მაგრამ აი
იმისმა ნიქმა იწყო სწრაფი ზრდა და გან-
ვითარება: მაშინ ის გადაჰყავთ ნორმა-
ლურ სისტემის კლასებში, რომელსაც
კიდევ ათავებს. ბოლოს არის კიდევ
ავადმყოფი, უყურადღებოთ დატოვებუ-
ლი ბავშვი ნაკლები ნიქით; ეს გადაჰყავთ
განმეორებით კლასში. მაგრამ თუ ის
აქაც შეუფერებელი აღმოჩნდა, მაშინ
მას ათავებსდენ დამხმარე სკოლაში. მოზესი
ყურადღებას აქცევს იმას, რომ განმეო-
რებით, მით უმეტეს კი დამხმარე კლასე-

ბი, წარმოადგენდნენ, ერთს მთელს ერთეულს, რომელსაც თავისი საკუთარი მიზანი აქვს და სრულებით ემსახურება მას. მათი მოქმედება მარტო იმითი კი არ უნდა დაფასდეს, თუ რამდენს შეგირდს მისცეს შეძლება დაბრუნებულიყვნენ ნორმალურ სისტემის კლასებში — „უმთავრეს მიზანს შეადგენს მისცეს გაანათლება“ ნაკლებ ნიჭიან ბავშვებს.

რანაირ განსაკუთრებულ პირობებს ჰქმნიან განმეორებით კლასებში?

პირველ ყოვლისა ამნაირ პირობათ ჩათვლება მოწაფეების სიმცირე (განმეორების კლასებს 30—35, დახმარების კლ. 15—20), რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეისწავლოს თვითეული ბავშვის ინდივიდუალური შემდეგ პედაგოგიურ პერსონალს განმეორებით კლასებისთვის არჩევდნ იმ მასწავლებელთაგან, რომელთაც განსაკუთრებული გამოცდილება შეუძენიათ ჩამორჩენილ ბავშვებთან მეცადინეობაში. მასთანვე მასწავლებელი სწავლის გათავებამდის თავს არ ანებებს თავის მოწაფეებს; თვითეულ მოწაფის შესახებ ის აწარმოებს საკუთარ დავთარს, სადაც აღნიშნულია ოჯახური პირობები, რომელშიაც იმყოფება ბავშვი, სხვა და სხვა ავადმყოფობა, რომლითაც ის ყოფილა—ავად, ფიზიკური ანომალიები, დეგენერატიული ნიშნები, მისი ფსიხიური თავისებურობა და მიდრეკილებანი. სამოსწავლო გეგმა განმეორებით კლასებისთვის იცვლება რაოდენობით და თვისებით; ის, რამდენათაც კი შეიძლება, შემოკლებულია; თუმცა ძალიანაც არ შორდება ნორმალურ კლასების პროგრამას. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თვალსაჩინო სწავლებას, სკოლასთან არსებულ სახელოსნოებში მუშაობას, ექსპერსივებს და სეირნობას, რადგანაც აქ

ბავშვები უფრო ჩქარა იღლებიან, მათთვის შემოღებულია ნახევარსაათიანი გაკვეთილები, გადრეხულია დასასვენებელი დრო, შემსუბუქებულია დისციპლინის მოთხოვნილებანი. სწავლების მეტი ინდივიდუალური ხასიათის განმეორებითი კლასები დაყოფილია ორ-ორ ჯგუფთა—ძლიერი და სუსტი განყოფილება: თვითეულ განყოფილებასთან მეცადინეობენ ცალკე, მაგრამ ორივეს განსაზღვრული რიცხვი საერთო საათების აქვს. მოზესის წიგნიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 26 საათი, რომელსაც მასწავლებელი ანდამებს პირველ განმეორების კლასს, განაწილებულია შემდეგნაირათ: სუსტ განყოფილებას ა—აქვს 6 $\frac{1}{2}$ ს., ძლიერ განყოფ. ბ — 6 $\frac{1}{2}$ ს.; ორივეს ერთად (ა+ბ)—13 საათი. ეს სისტემა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომელიც დროებით ჩამორჩა თავის ტოლ-აშხანაგებს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო (მაგალ. შეიძლება ის გადმოსულია ისეთ სკოლიდან, რომლის პროგრამა უფრო ნაკლებია) ჩქარა დაეწიოს მას და გადავიდეს ძირითად სისტემის კლასში.

განმეორებით და დახმარე კლასის მოწაფეებს განსაკუთრებულ მზრუნველობით ეკიდება სკოლა; უკანასკნელი თავისი ქველმოქმედებით დიდს შემწეობას უშვრება ლარებებს, რომელთაც აძლევენ ცხელს საუზმესა და სადილს, უმართავენ სკოლებთან აბანოებს, საბავშვო კლონიებს, დათხოვნის შემდეგ გზავნიან მთავე წყლებზე და სხვა. მთელ ამ პარალელურ კლასების სისტემას მუდმივ კანტროლს და დახმარებას უწენს სკოლის ექიმი.

თავის თავთ ცხადია, რომ ამნაირი საქმის დაყენება ითხოვს აუარებელ ხარჯებს სახალხო სკოლაზე. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ როდესაც, საერთო

გასავალი მანგეიმის მუნიციპალიტეტის 7 წელიწადს (1897—1904 წლ.) გაიზარდა 95% , გასავალი სკოლებზე ავიდა 113% და ეხლა შეადგენს 23% მთელს ხარჯთაღრიცხვის.

პირველ საერთაშორისო კონგრესის შემდეგ სასკოლო პიეინაზე 1904 წელ., როდესაც ზიკინგერმა წაიკითხა მოხსენება სახალხო სკოლის ორგანიზაციის შესახებ, მანგეიმის სისტემამ მთელის ქვეყნის პედაგოგთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ეხლა ძირითადად იდეამ ჯგუფობრივ მეცადინეობის საჭიროებისამ, მით უმეტეს იმისთანა დაწესებულებამ, როგორცაა დამთავრებითი კლასები, ჰპოვეს ფართე პრაქტიკული განხორციელება გერმანიისა და სხვა ქვეყნის ქალაქების მთელ რიგში (მოვიხსენიებთ ბრიუსელს, ვენას, ბაზელს, კოპენჰაგენს), სადაც ცოტათ თუ ბევრათ გატარებულია მანგეიმის სასკოლო სისტემა. მიუხედავად ყველა ამისა თვით იდეა—დაყოფა შეგირდებისა ნიჭიერობის და გვარათ—იწვევდა და იწვევს პედაგოგების მხრივ სერიოზულ კრიტიკას. თვით კრიტიკერიუმი, რომლითაც შეიძლებაოდეს ბავშვის ნიჭიერობის დაფასება, ძალიან საეჭვოთ მიაჩნიათ. უთითებდნენ იმაზე, რომ ზღერმიწვენიითი ანალიზი ყოველთვის წინ აყენებენ თვისებით სხვა და სხვაობას. ესა თუ ის ტიპი მეხსიერებისა, ესა თუ ის ხასიათი ნიჭისა, არა ერთნაირი მიდრეკილება ამა თუ იმ საგანზე—ყველა ამას შეუძლიან ცუდი გავლენა იქონიოს ბავშვის წარმატებაზე. მაგრამ არავითარ უფლებას კი არ გვაძლევს სუსტ ნიჭიერთა რიცხვში მოვაქციოთ ის. მეორე მხრით თუ ვიხებოდნენ ენობით იმ მოსაზრებით, რომლითაც სტოვერენ მოწაფეს იმავე კლასში ე. ი. მივაქცევთ ყურადღებას

ბავშვის ცოდნას, მაშინ მანგეიმის სკოლა მხოლოდ იმით განსხვავდება სხვა სკოლებიდან, რომ მასში ძველს შეგირდებს აცალკევებენ ახლად შემოსულ ამხანაგებიდან (ასე უყურებს მანგეიმის სისტემას პედაგოგი პრეტცელი) მაშინ იზადება კითხვა: საჭიროა თუ არა ამნაირი გაცალკევება? კრიტიკოსები *Sondesklassensystem* უპასუხებენ მასზე უარყოფით. ის გაუკეთესება სწავლების მეთოდებში, ის მზრუნველობა შეგირდებზე, რომელსაც ადგილი აქვს განმეორებით კლასებში, უნდა ვრცელდებოდეს მთელს სკოლაზე. ეს აზრი განსაკუთრებით განავითარა ვ. პაულსენმა („*Päd Re form*“ 1904), რომლის აზრით სამოსწავლო გეგმის და სწავლების მეთოდების ნაკლები განხორციელებაში უნდა ვეძიოთ ძველი სასკოლო სისტემის უფარგოსობის მიზეზები. აღნიშნავენ შემდეგ იმ გარემოებასაც, რომ გამოყოფა სუსტ შეგირდებისა ცალკე ჯგუფად უსაძრის მათ ნიჭიერ ამხანაგების კეთილ გავლენას, ამცირებს მათში მოცილეობას სწავლაში, ამას შეუძლიან ცუდათ იმოქმედოს ბავშვის თავმოყვარობაზე, გამოიწვიოს უკმაყოფილება მშობლების მხრივაც. ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებასაც, რომ განმეორებითი კლასების მოსწავლენი უმთავრესათ უღარიბეს მცხოვრებთა შვილებია და ამას, ზოგიერთ პედაგოგის აზრით, ჰყვება ის ცუდი შედეგი, რომ ღარიბთათვის არსდება ცალკე სკოლა, რასაც შეუძლიან გააღრმავოს არა სასურველი სოციალური წინააღმდეგობანი, მანგეიმის სისტემის მომხრეთ ამაზე უპასუხებდნენ, რომ განმეორებით კლასების მოწაფეთა რიცხვში 30% შეძლებულ მშობელთა შვილებია და თუ ოჯახური პირობები მოქმედებენ ბავშვზე, უნდა სკოლა მიეშველოს მას; მოთავსება იმისთანა კლასებ-

ში, სადაც მოწაფეს განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობიან და აქცევენ ყურადღებას მის ფსიხოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურობას ეს უსამართლობა კი არა, ქველმოქმედებაა.

რაც უნდა იყოს დღეს მანგეიმის სისტემა პოულობს მრავალს მომხრეებს. უკანასკნელთა რიცხვში მოგახსენებთ Reichlvat ქალ. კილისას, პოპპეს, რომელმაც ამ ცოტა ხანში გამოსცა წიგნაკი, სადაც ვრცლათ აწერილია მანგეიმის სკოლა; ავტორს ადგილზევე შეუსწავლია ეს და ბევრს პანეგირიკებსაც უძღვნის მას. თვით მოწინააღმდეგენიც Sonderklassensystem კი პოულობენ მასში კარგს

მხარეებს. ეს სისტემა, პრეტცელის აზრით, გვიჩვენებს, როგორი გასაოცარი წარმატება მისდევს სწავლაში იმისთანა საშუალებებს, როგორცაა შეგირდების რიცხვის შემცირება, განხორციელება იმ სამოსწავლო გვემისა, რომელიც ყურადღებას აქცევს რაოდენობას კი არა, არამედ მასალის საფუძვლიანად შემუშავებას. ჯგუფებრივი და ინდივიდუალური სწავლება სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩამორჩენილ ბავშვებთან და, ბოლოს, ფართეთ დაყენებული ზრუნვა სიღარიბისაგან შევიწროებულ ბავშვებისა. სწორეთ ამაში გამოიხატება უდიდესი და უტყუარი სამსახური ზიკინგერისა.

მ. მარკოზიშვილი.

სამსუდრო აღზრდის კამო

ღღეს, როცა ოფიციალურ პედაგოგიკას შემოაქვს ჩვენს სკოლებში სამხედრო აღზრდის წეს-რიგი, ურიგო არ იქნება გავეცნოთ გერმანელ გენერალ ლეიტენანტის ფონ-რეიხენაუს აზრი ამ საგნის შესახებ. გაზეთ „Tag“-ში (16. XI) მან გამოსთქვა, რომ ჯარის კაცობანას თამაშ შეუძლია მხოლოდ აენოს იმ დანიშნულებას, რასაც აღზრდა ისახავს თვალწინ, რადგანაც იგი ავითარებს ბავშვში მედიდურობას და თავის თავზე ღიდი აზრის შედგენას. ფორმის გარეგანი ბრწყინვალეობა დროშებისა და ალღუმისა უნერგავს ბავშვს ცრუ წარმოდგენილებას თავისი ძალებისა და მოქმედების მნიშვნელობის შესახებ. ამას ავადმყოფური გავლენა აქვს ბავშვის ხასიათზე და ხელს

უშლის მას სასკოლო მუშაობაში. განა შეიძლება ბავშვმა, რომელსაც ჯერ კიდევ ყურში უწივის გუშინდელი „ურა“, გულდასმით მოისმინოს ის, რასაც კლასში ასწავლიან? საზოგადოთ თავის-თავად ყოველგვარ გამოსვლას ბავშვებისას საზოგადოების წინაშე გარდა ენებისა არა მოაქვს რა. აქედან შეიძლება შეზღვევი დასკვნა: აღზრდა ხელს უნდა ეწყობდეს და მიმართული უნდა იყოს იმ პიროვნების გარემონიულად განვითარებისაკენ, რაც მაღლა დგას თავისი მუშაობის ნიჭით. საკმარისია ამ გზით სიარული და მაშინ სრულიად მოისპობა დანიშნულება რაღაც განსაკუთრებულ სამხედრო აღზრდისა.

პირველ-დაწყებითი საერო განათლება
ინგლისსა და ბრაზილიაში.

როგორც მოვეითხრობს ჟურნალი „P. H. Y.“, პირველ-დაწყებითი განათლება ინგლისში უსასყიდლო და სავალდებულოა. სკოლებში არსებობს ვრცელი პროგრამა: ასწავლიან სამშობლო ენას, ანგარიშს, გეოგრაფიას, ისტორიას, ქიმიას, ბუნების მეტყველებას; ალგებრას, ფიზიკას, ნემეკურ და ფრანგულ ენებს. ნორმალური კურსი პირველ-დაწყებითის სკოლისა შესდგება შეიდი კლასისაგან. მდგომარეობა მასწავლებლისა მეტად უზრუნველ ყოფილია: მასწავლებელნი კაცნი იღებენ 1240—3000 მანეთამდე წლიურად, მასწავლებელნი ქალნი კი 840—2000 მანეთამდე. რაღა, თქმა უნდა განათლებით იქაური მასწავლებლები აჯობებს რუსეთის მასწავლებლებს.

— ბრაზილიაში იმპერატორის დონ-პეტროს მეორის თაოსნობით 1951 წელს, 17 სექტემბერს, დადგენილ იქნა პალატის მიერ კანონი პირველ-დაწყებითი სწავლის შეცვლის შესახებ სატახტო ქალაქ როდრიგოპოლისში. მოქმედება ამა დადგენილებისა დაიწყო მთავრობის ბრძანებით 1854 წლიდან და იმყოფებოდა ძალაში 1889 წლის 15 ნოემბრამდე, მონარქიის დაცემამდე. დასაბამითი აზრი ამ კანონის დადგენილებისა იყო: გავრცელება პირველ-დაწყებითის განათლებისა სატახტო ქალაქში, მომზადება პირველ-დაწყებით სკოლათა მასწავლებლებისა და უზრუნველყოფა მათი აწმყოსა და მომავალში, დაარსება ინსპექციისა, რომელსაც უნდა დაეაღმებოდა მართვა-გამგეობა და ყურის გდება ყველა სამოსწავლო დაწესებულებათა. ახლა გვგმა პირველ-დაწყებითი განათლებისა იქ საქმიად შეცვლი-

ლია. საზოგადოთ პირველ-დაწყებითი განათლება ბრაზილიაში უსასყიდლოა, მაგრამ ზოგან სასყიდლოანი სკოლაც არსებობს. პირველ-დაწყებითი მასწავლებლები ინახება იქ დაბა-ქალაქების ხარჯით და განიყოფება სამ კატეგორიად: 1, საბავშვო ბალები, 2, პირველ-დაწყებითი სკოლები პირველი ხარისხისა, 3, პირველ-დაწყებითი სკოლები მეორე ხარისხისა. საბავშვო ბალები არსებობს ორივე სქესის ბავშვთათვის, წლოვანობით 4—7 წლამდე. პროგრამა სწავლისა ასეთია: ფიზიკური ვარჯიშობანი, შეერთებული სიმღერასთან; მუშაობა; პირველი წესები ზნეობრივის აღზრდისა; ვარჯიშობანი სამშობლო ენაზედ, კითხვა, წერა, შესწავლა ციფირებისა, ანგარიში და ხატვა.—

პირველ-დაწყებითი სკოლები პირველი ხარისხისა განიყოფება სავაჟო და საქალბო სკოლებად. ორივეში მიიღებიან 14 წლის შესრულებამდე, სწავლა ასეთ სკოლებში შესდგება სამი კურსიდან: პირველ-დაწყებითი, საშუალო და დამატებითი. თვითეულ კურსს აქვს ორი კლასი; მთელი კურსი კი გრძელდება ექვს წლამდის. ამ სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: წერა-კითხვა, პრაქტიკული არითმეტიკა, ფრანგული ზომები, მიწის ზომვა, გეოგრაფია, ისტორია ბრაზილიისა, ელემენტარული ფიზიკა, ბუნების მეტყველება, მოქალაქური და ზენეობრივი აღზრდა, ხატვა, პატრიოტული სიმღერები, გიმნასტიკა, სამხედრო ვარჯიშობანი, მუშაობა და მეურნეობა.— მეორე ხარისხის პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა განიყოფება სამ ნაწილად

და შესდგება შემდეგის საგნებიდან: კალიგრაფია, პორტუგალური და ფრანგული ენები, ელემენტარული მათემატიკა, გეოგრაფია და ისტორია (სპეციალურად ბრაზილიისა), ელემენტარული ქიმია, ფიზიკა, ბუნების მეტყველება, მეურნეობა, სწავლა სიმრთელის დაცვისა (ჰიგიენა), ელემენტარული საპოლიტიკო ეკონომია, მოქალაქობრივი უფლება, ხატვა, მუსიკა,

გიმნასტიკა, სამხედრო ვარჯიშობანი, მუშაობა. სამოსწავლო პერსონალი ყველა სკოლებში შესდგება ნორმალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულთაგან. მკითხველი მიხვდება, რომ ნორმალური სასწავლებლები ბრაზილიაში ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებს სჯობნებია.

ლ. ბზვანელი.

კიდევ ს. ქვარიანის „საქართველოს ისტორი“-ის შესახებ

ჩვენ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაზე „საქართველოს ისტორი“-ის შესახებ¹⁾ უკანასკნელის ავტორმა ბ-მა სიმ. ქვარიანმა საქირად სენო პასუხი გაეცა და ამ პასუხში ხაზგასმით გვისაყვედურა ორი რამ: ერთი, რომ ჩვენ არ აღწერსხეთ კონკრეტულ მაგალითებით „ისტორია“-ში შემჩნეული პროვინციალიზმები და გრამატიული შეცდომები, და მეორე მარტვილის მონასტრის აღწენება შეცდომით (?) მიეწერეთ გიორგი II აფხაზეთისას და არა ბაგრატ III-ს, როგორც ამას თვით ბ-ნი ს. ქვარიანი ამტკიცებს.²⁾

გვგონია—საქმისთვის გამოსადეგი იქმნეს და ამიტომ მზადა ვართ პასუხი გავსცეთ ბ-ნი ს. ქვარიანს ერთზე და მეორეზედაც.

პროვინციალიზმებად ბ-ნი ს. ქვარიანის წიგნში ჩვენ მიგვჩანია შემდეგი სიტყვები (ან უკეთ რომ ვსთქვათ „სიტყვის ფორმები“): 1) დაჯჯა (დაიჯიჯა-ს მაგიერად.—იხ. „ისტ.“ გვ. 29, მწკ. 20), 2)

ღველი („მღველი“-ს მაგ. გვ. 18/²⁵, 93/^{13,21}),³⁾ 3) მოემწყვრა (მოემწყვდიას-ს მაგ. გვ. 82/¹⁹), 4) დაუჟდა, დაუჟინეს (დაუჟდა, დაუჟინეს მაგ. გვ. 28/²⁷, 84/¹⁴, 100/¹¹, 104/¹⁷, 109/⁵), 5) ბორუმი ბორჯომის მაგ. გვ. 94/²³), 6) დამოჩვალი (დამჩრვალი-ს მაგ. გვ. 118/¹⁰), 7) მაცადინობა („მეცადინეობა“-ს მაგ. გვ. 125/²¹), 8) ეპისკოფოზი (ეპისკოპოსი-ს მაგ. გვ. 18/¹⁴)⁴⁾, 9) ბძანებლობდა (ბრძანებლობდა-ს მაგ. გვ. 29/⁶)...

მძიმე გრამატიულ შეცდომად კი ბ-ნი ს. ქვარიანის „ისტორია“-ში უნდა ჩათვალოს ასო ჰ განდევნა ხმარებიდან (იხ. „ისტ.“ გვ. 44/³, 94/²⁷ ქონდა, ჰქონდა-ს მაგ. 90/²⁷, 82/¹⁹, 89/¹²... მაჰალი, მაჰჰალი-ს მაგ. და სხვა...), თუმცა, უნდა შეე-

³⁾ მ-ღველი—თავსართი (პრეფიქსი) მ, როგორც *nonnen agentis*—მომქმედ მირის სახელწოდების მასწავლებელი, უსთურად უნდა იქმნას დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში უნის „გაველვარებას“ ვერ ავცდებით.

⁴⁾ თუ კი ხაღხის გასათქმას მისდევს ბ-ნი ქვარიანი—მაშინ სჯობდა ესმარა ფორმა ეფისკოპოზი, როგორც სმირად ხაღხში ღაზარაკობენ სოღმე, და არა ეპისკოფოზი.

¹⁾ იხ. ჟურნ. „ცანაღ.“ 1910 წ. № 10 გვ. 501—503.

²⁾ იხ. ჟურნ. „ცანაღ.“ 1911 წ. № 4 გვ. 241—243.

ნიშნით, ამ შემთხვევაში ავტორი ვერ იჩინეს სიმტკიცეს და ზოგჯერ კიდევაც იძულებულ ჰყოფს თავის თავს იხმაროს მის მიერვე „თავალისწინებული“ ასო (იხ. გვ. 6/14, 84/17, 21, 25; 85/16, 18...; 96/30...) თავისებურობა ბგერა ჰ-სი ქართულ ფონეტიკაში ყოველ დაკვირვებით მოაზროვნე ქართველისათვის აშკარაა და ამიტომ მისი განდევნა აღფაბეტიდან (და ამასთანავე ერთად ფონეტიკიდანაც, რასაკვირველია) გასაკიცხია¹).

ვეთანხმებით ბ-ნ ს. ქვარიანს — ენა ევოლიუციას განიცდის და კიდევაც უნდა განიცდიდეს. მაგრამ ევოლიუციაც არის და ევოლიუციაც. ლინგვიურ სფერაში შესაწყნარებელია მხოლოდლა მტკიცე და ყოველმხრივ დაკვირვებაზე გაცხრილული ევოლიუცია. და ამ მხრივ ყოველივე პროვინციალიზმი, ნეოლოგიზმი თუ მორფოლოგიური ცვლილებანი, როდესაც რომ საუკუნოებით ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ენაში თანაბარი სიტყვაფორმები უკვე მოიძებნებიან (და ისიც კეთილხმოვანნი და სხარტად აზრის გამომხატველნი), ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

გარდვლდეთ ახალ საკითხზე მარტილის „მონასტრის“ აღშენების შესახებ. ვიმოვრებთ — მარტილის მონასტრის აღშენება, თანახმად „ქართლ. ცხოვრ.“-ის ჩვენებისა (წ. II, გვ. 285. — ტიკინაძის გამ.), ჯერ-ჯერობით, სანამ ახალი საბუთები არ აღმოჩენილან, უნდა მიეწეროს გიორგი II აფხაზეთისას (921—955) და არა ბაგრატ III (980—1014)... ის წარწერა მარტილის უმთავრეს ტაძარზე, რომელიც გადმოუღია ბროსსეს და რომ-

ლის მიხედვით თ. ეორდანია და მისგან დამოკიდებით ბ-ნი ს. ქვარიანიც ამტკიცებენ მარტილის „მონასტრის“ აღშენების დამთავრებას მეფე ბაგრატ III-ს დროს, ჩვენ მტირელირსოვან საბუთად მივიგანია. და აი რატომ: ერთი მხრით კონიექტურა, ე. ი. აღდგენა წარწერისა იმ სახით, რა სახითაც ის მოყვანილია ეორდანის „ქრონიკებში“ (წ. I, გვ. 84—85), მეტად პრობლემატურია, და მეორე — წარწერის თვით შეუბღალავ ადგილების ახსნა-განმარტებაც, ანუ ეგრედ წოდებული ინტერპრეტაცია, შეცდომებითაა აღსავსე. მაგალითი უკანასკნელის მხრით. წარწერაში პირდაპირაა ნათქვამი „აღაშენეს წმიდა სანათლაგი“ — ი... ბ-ნი თ. ეორდანისა და მასთან ერთად ს. ქვარიანიც, — არ ვიცი კი რა საფუძვლის ძალით, — ამ ადგილს ხსნიან იმ მნიშვნელობით, თითქოს აქ საყდრის აღშენებაზედ იყოს ლაპარაკი. მაგრამ შევნიშნავეთ — ეს შემცდარი მოსაზრებაა. ძველ საეკლესიო ტერმინოლოგიით სანათლაგი სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვინემ საყდარი ან ეკლესია-საფანე, და ვრცლად აქ ამის განმარტება, მგონი, ზედმეტი და უადგილოც იქნენ...²)

რომ სახიდათაა აღნიშნულ წარწერაზე დანდობა — ამას კარგად გრძნობდა თვით წარწერის გადამღები აკადემიკოსი მ. ბროსსე, რომელიც თავის Hist. de la

²) შევნიშნავეთ მხოლოდ — ამ სიტუა-ტურში — მა შესაძლებელია სულ ახალი ისტორიულ-ეკლესიურული ჰერსპექტივა გადავიშაღოს თვალწინ. საკითხი იმაშია — რა იგულისხმება აქ „სანათლაგი“ — ს ქვეშ, ეგრედ წოდებული ბაპტისტერიუმი თუ სტოვა (სტოა)... უნდა ექიფინოთ იმედი, რომ მომავალი ეპოქაეუყანი მოჭეფენენ ამ საკითხს ჩათაყს...

¹) უკდ. „გან.“ 1910 წ. № 10, გვ. 502 სუკტი 2 (2 რუბრ.), 503 სუ. 1.)

Сбор. I, 278, II, 8. S-Pet. — 1858 — მარტ-ვილის აღწენების შესახებ სხვა აზრისაა, ვინემ ჟორდანი-ქვარიანი...¹⁾

კითხვის ამისთანა გამოურკვევლობისა გამო დავგრაჩენია მხოლოდ ვუსურვოთ ბ-ნ ქვარიანს მისდოს „ქარ. ცხოვრ.“-ის ჩვენებას, რომ ამ ნაირად თავიდან აიცილოს ის საშინელი *petitio principii*, რომელიც ნებისთ თუ უნებლიეთ მოსვლია მას ჩვენ მომართ სიტყვისგებაში.

დასასრულ, რა კი შემთხვევა გვეძლევა, საჭიროდ ვრაცხო ვუჩვენოთ ზოგიერთ ამ კნინ-ნაკულუღევანებებზედაც, რომლებიც შევამჩნიეთ ბ-ნ ქვარიანის „ისტორი“-ის მეორედ გადათვლიერების დროს და რომლებიც პირველ ჩვენ წერილში („განათ.“ 1910 წ. № 10) გამოგვჩა.

1) მე-8 გვ. მწკ. 20 ნახსენებია აზო, რომელიც გამოგზავნა ალექსანდრე მაკედონელმა საქართველოს დასაპყრობად. თუ ვინ იყო ეს აზო არაფერია ნათქვამი. საკუთარ სახელის ასეთ სახტად დატოვება, ისიც სახელმძღვანელოში, არ ივარგებს. მას წინ უნდა წაემძღვაროს განმარტველი სიტყვა (*appositio* — მიმატება) „სარდალი“.²⁾

2) მე-10—11 გვ. საჭიროა ორ-სამ წინადადებაში შედარებით ვრცელი ცნობების მოყვნა ერისთავების შესახებ, სწორედ იმ სახით, რა სახით მე-7 გვ. მამასახლისების შესახებაა მოყვანილი ცნო-

¹⁾ მარტვილის მონასტრის აღშენების საკითხის გამოსარკვევად იხ. აგრეთვე ჟორდანიას „ქრონ.“ წ. 1, გვ. 113—114, სადაც ნახსენებია ჭყონდიდის ეპისკოპოსი სტეფანე. მწკ. წლამდი, ე. ი. იმ წლამდი, რომელში ჟორდანი-ქვარიანი მიაკუთვნებენ მარტვილის აღშენების დასრულებას...

²⁾ ანუ „ლაშქართ მოყვარე“, როგორც სწორად ვახუშტი (იხ. მისი „საქართვ. ისტ.“ დ. ბაქრაძის რედაქტ. გამოც. გვ. 35. — თბილ. 1885 წ.)

ები. ამას მოითხოვს მტკიცე სისტემა გარდმოცემისა თხზულებაში.

3) მე-33 გვ. მწკ. 1 — ნახმენებია ბარდა სკლიაროსის აჯანყება, ხოლო თუ რომელ იმპერატორს (საბერძნეთისას) აუჯანყდა, არაფერია ნათქვამი. აგრევე მხ გვ. მწკ. 14—16 ნაამბობია „ბავრატ I“ დამოყვრა ბიზანტიის იმპერატორს და ითხოვა ცოლად მისი დისწული ელენე“ო. ისტორიულ სიმტკიცის დასაცველად ორევე შემთხვევაში საჭიროა იმპერატორების სახელის მოყვნა.³⁾

4) უკანასკნელ მე-21 გვ. მწკ. 23—25 და 60 გვ. მწკ. 19—23 აზრები ბუნდოვანად არიან გამოთქმულნი. როგორც სახელმძღვანელოში, რომელიც პატარავ ბისთვის არის დანიშნული, აღნიშნული ადგილები უცილობოდ მეტი სისწორით და სიტხადით უხდა იქმან გამოხატულნი...⁴⁾

სამ. ცომიათ.

14, IV. 1911 წ.
პეტერბურგი.

³⁾ საჭირო წყაროები: „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 ხელთაწ. აღაშუბით“. გვ. 9 (5—6 მწკ.), 10 (23—24)... „ქართ. ცხ.“ II, 320—321 გვ... უცხო წყაროებზე აღარ უჩვენებ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქართული წყაროებიც საკმარისია...

⁴⁾ პირველი ადგილი: „ვახტანგი დიდი ჯარით შეესია ბიზანტიის სასდერებს. შორეუ მხრით მოადგა (?) მზარსეთას დიდი ღაშქარი“ — შესაძლებელია, სხვათა შორის, შესწორდეს ან საირადე: „ვახტანგი დიდის ჯარით შეესია ბიზანტიას (ან ბიზანტიის სასდერებს — ორივე ერთია), რომელს შორეუ მხრით მოადგა მზარსეთის დიდი ღაშქარი“... შორეუ ადგილს, აქ არ მოვიყვანთ, მხოლოდ კი შევნიშნავთ აუტორას საყურადღებოდ, რომ სიმბსდოვნეს მოსამსობად საკმარისია მარტო-ოდენ კავშირის „ღა“-ს ჩამატება სიტყვების „საშელო, შეერთებული“-ს შორის (მწკ. 22—23).

პასუხად ბ-ნ დ. ქადაგიძეს

შურსად „განათლების“ მიმდინარე წლის მე-2 ნი-ში ბ-ნი დ. ქადაგიძე არჩევს ჩემ მიერ შედგენილ არითმეტიკის სახელმძღვანელოს ოთხის დებულების—მეცნიერულისა, მეთოდისა, ენისა და მიზნის მიხედვით.

იწყებს იმითი, რომ სახელმძღვანელო ჩვეულებრივ ცეკმზუკა აკებულა, მაგრამ დასძეს: „უცნაურ შთაბეჭდილებას ახდებს აღმინახე“.

აქ რაღაც გაუკებობაა: ან ჩვეულებრივ ცეკმზუკ არ უოთილა აკებულა, ან, თუ უოფილა, ამ შემთხვევაში უცნაური შთაბეჭდილება აღარ უნდა მოახდინას.

უზარეულესად ენდა ვაუწყო პატივცემულ კრიტიკოსს, რომ მე სრულიად აზრად არა მქონდა შემდგინა არითმეტიკის სახელმძღვანელო გიმნაზიის მე-2 და მე-3 კლასისათვის, რადგან ეს მიზან მიუღწეველი განზრახვა იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილ მიზეზის გამო: პირიქით, სხეულები სახელმძღვანელო არის გავრცელება ჩემ მიერ შედგენილის ორ ნაწილად: „არითმეტიკული ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული“-სა, რომელთაგან უკანასკნელში შეისწავლება ოთხი არითმეტიკული მოკმედება უოველ გვარ რიცხვებსე. ამიტომ, არამც თუ შეუფერებლად, არამედ უსაჭიროესად მიმანია არითმეტიკის სახელმძღვანელოში შემეტანა პირველი ნაწილი—აეთრეტული კურსი შთაღის რიცხვისა, მრიცხველობის სისტემისა, რიცხვთა გაყოფისა და დაშლისა, უდიდესი სკრიოთ გამოყოფისა და უმცირესი სკრიოთ კეციღისა. ამას შთითხოვს თანდათანობის პრინციპი, ღოგიკური კავშირი უოველ გვარ მეცნიერების ნაწილებისა და მეტადრე მათემატიკისა, რომელნიც ურთი ერთსე უფრო მკიდროთ არიან დაკავშირებული და ბესერბიუად, აუცილებლად

ერთი მეორისგან გამომდინარეობენ. უამისოთ შეუძლებელია შეგნებით შესწავლა ნაწევრისა, რომლისათვისაც ნიდაგეს უმზადებს მთელი რიცხვთა გაყოფის თვისებანი და მასე დაკავშირებული უდიდესი გამოყოფი და უმცირესი კეციღი.

„რა კავშირი აქვს სხვა და სხვა სისტემებს მრიცხველობისსა შრტივ ნაწევრებთან, განცვიფრებით მეკითხება ბ-ნი ქადაგიძე: ამის ახსნა თვით ე. სრამელაშვილისთვის მიგვიჩივლიათ“. მე სიამოვნებით ვასრულებ მის მონღობილებას და მოვახსენებ: სწორეთ მრიცხველობის ათუულიან სისტემაში უნდა ვეძიოთ საფუძველი რიცხვთა გაყოფის თვისებისა და არა სხვაგან. განა გარეშე ათუულიან სისტემისა იგივე თვისებანი დარჩებოდა იმის გასაკებად, თუ რომელი რიცხვი იყოფა 2-სა, 3-სა, 5-სა და სხვა შრტივ რიცხვებსე. მაგალ., რიცხვი 12, ათუულიან სისტემით დაწერილი, იყოფა უნაშთოდ 2-სა, 3-სა, 4-სა და 6-სე; იგივე რიცხვი სხუთუულიან სისტემით დაწერილი, არც ერთ ნაშთოვლილ რიცხვზე არ იყოფა, რადგან იგი აღნიშნავს მხოლოდ 7-ს. ეს ერთი მაგალითიც ნათელ ჭეოთს იმ ძირითად ჭეშმარიტებას, რომ მრიცხველობის სისტემაზუ დაშეარებული რიცხვთა გაყოფა და ამ უკანასკნელზე ნაწევრების გამორტივება, გერთიმინშენკლობა და სხ. მამასადამე მრიცხველობის სისტემ დაწებითი რგოლი უოთილა იმ ცოღისს ვაჭვისა, რომელსაც არითმეტიკის უმთავრესი ნაწილი ექვდება.

გარდა ამის, თვით მრიცხველობის სისტემას ერთი უდიდესი გამოკონება კაცთა აზროსებისა, რომლის სიღრმე-სიკანესი უნებ აღვილად ვერ წარმოვიღებნა ჩვენ, ვისაც მზა-

მზარეულად გვაქვს გადმონაცემი ინდოელთა-
 გან. თეორეტიულად შეგნება მრცხველობის
 ათეულაინ და სხვა სისტემისა დაუფასებელი
 მასალაა მოწაფეთა ცოდნისა და განვითარები-
 სათვის, რაც შეადგენს სკოლის უმთავრეს
 მასალას. ამიტომ თქმა იმისი, რომ აღნიშნულ
 ნაწილს წიგნის დანარჩენთან არავითარი კავ-
 შირი არა აქვს, უსაფუძვლოთ უნდა ჩათვა-
 ლოს.

ბ-ნ ქადაგიძის აზრით, სიდიდის განმარ-
 ტების შემდეგ უნდა გადავსულიყო სხელწო-
 ლებითი. რიცხვების თვისებებზე და გამომერ-
 კვთა, თუ რა კავშირი აქვს ამ რიცხვთა თვი-
 სებას მარტივ ნაწევართა თვისებასთან. დიდი
 ნახტომია, ბატონო! აქვენიც კარგად მოკეს-
 სებათ, არითმეტიკის სისტემატიურს და
 არა პროფედევდუკურ კურსში ოდენობა—ნა-
 წევრის მანძილზე რამდენიმე საუკუნოინი
 კიბუა, რომელზედაც ასედა შეუდებულა, თუ
 ერთ საუკუნოს შიგნით გამოსტყუებით, წინააღმ-
 დეგ შემთხვევაში ნაწილების შექანკურად და-
 კოწიწება გამოვიდოდა, მათ შორის ლოგიკურ
 კავშირის უარყოფა, თანდათანობის დარღვევა.

ზემოთ მოყვანილ შედარებას სწავლების
 საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო თა-
 ვის დროზე და შესაფერ ადგილას. სწორეთ
 იგივე შედარება, რაზედაც ბ-ნი ქადაგიძე მი-
 ეციითობს, საჭიროთ დაფინსხე მიმეყვანა
 წიგნის 21 გვერდზე, სადაც სახელწოდებულ
 რიცხვების მაგალითით ვამტკიცებ, რომ ნა-
 წევრებისა და მთელი რიცხვის ერთი მეორის
 შესავსად გამოხატვა შესაძლებელი ეყოფილა
 და ამის უამო მათ შორის არ არის არსებითი
 განსხვავება, ნაწევარი მთელი რიცხვის
 გაფართოებული ცნებაა. რომ ეს დებუ-
 ლება მოწ.ფემ ჭეროფანად შეივბოს, აუტი-
 ლებლად საჭიროა სათანადო მომზადება, რა-
 სიც იძლევა მთელი რიცხვის თეორეტიული
 კურსი და თვით მრცხველობის სისტემა, ბ-
 ქადაგიძის-მიერ ათეულწიხუბული.

რაც შეეხება იმ ცნებათა გამოთრკვევას, რთ-
 მელნიც რუსულად აღინიშნებთან სიტყვებით
 ВЛИЧИЧНА და КОЛИЧЕСТВО, უნდა მოგახ-
 სენოთ, რომ ტერმინების უჭონლობის გამო
 საქმე დიდ დაბრკოლებას განიცდის. ბ-ნ ქადა-
 გიძის მიერ ნახმარი ტერმინი „სიდიდე“
 როგორც თვითონვე ბრძანებს, სახსებით არ
 შეიძვის იმ შინაარს, რასაც მას უნდა ვაკეთ-
 ნებდეთ, ამიტომ უზიარტესობის მიცემა ამ
 თუ იმ ტერმინისათვის ჭერ-ჭერობით შეუძ-
 ლებელია. შირადად მე ტერმინი „სიდიდე“
 შეუყურებლად მიმაჩნია, ვამტობინებ ასევე შირ-
 ველ ცნებისათვის „ოდენობა“-ს და მეორესა-
 თვის „რაოდენობა“-ს. მე ამ ორ ტერმინს
 ვხმარებ ჩემს სახელმძღვანელოში და უადგი-
 ლოთ ხმარება. მოყვანილ ტერმინებისა ერას
 და იმავე გვერდზე, რასაც საზარალიანად შე-
 ნიშნავს ბ-ნი ქადაგიძე კორექტიურულ შეც-
 დობად უნდა ჩაითვალოს, სწორეთ ისეთად,
 როგორიც თვით მისევე წერილში 114 გვერდ-
 ზე მეორე სვეტში ვუხვდება, სადაც ნახმარია
 ტერმინები „მიმართულება“ და „მიმართი“
 ერთისა და იმავე მნიშვნელობით. რომ უფრო
 გულდინჯათ გადაუთვალერებინა სახელმძღვა-
 ნელო, ბ-ნი ქადაგიძე შენიშნავდა არა ერთს
 ხალ ტერმინს, რომელიც შირველად არის
 ნახმარი და რომლის შესახებ საჭირო იყო
 თავისი შეხედულობა გამოთქვა. როგორც
 ზევითაც მოგახსენეთ, ტერმინების უკონლო-
 ბა დიდ ნაკლს შეადგენს და მოითხოვს მცოდ-
 ნე შირთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას,
 სერიოზულ შემოხმას.

კაითვის თვისებათა აღმოსახენად მე შომ-
 ეუს სამი ძირითადი დებულება, რომელთაგან
 შირველი მდგომარეობის შემდეგ ში: უკეთუ
 თვითეული შესაკრები. იეთთა რომელსაქ
 რიცხვზე, მათი ჭაშიც კაითთა იმავე რიცხვ-
 ზე. ბ-ნი ქადაგიძე ამს სრულ სიმართლედ
 აღიარებს, ხოლო საჭიროთ სოვლის შემდეგი
 დებულებაც მიემატოს: შესაძლებელია შესაკ-

რებები არ იყოფებოდნენ რომელსაში რიცხვ-
 ზე, მაგრამ მათი ჯამი-კი გაიყოს იმ რიც-
 ხვზე; ვინაიდან სამზე გაყოფის წესი უაბი-
 სოდ ვერ აისხნება. როგორც უოგელგვარ
 კანონს, ისე ტეშმარიტებად აღიარებული მ-
 თებთაგურ დებულებას ჟროვანი გამოყენება
 სჭირია. აქ უადგილოთ უნდა ჩათვალოს მო-
 ეყანილი დამატება, რადგან სწორედ უამისოთ
 აისხნება 3-ზე გაყოფის წესი. ეს ასე რომ
 არ იყოს, მაშინ დაგვიტყვიან ვიდეუ ერთი
 (მესხეთ) დებულებაც მოგვეჩვენას, სახელდობრ:
 შესაძლებელია რამდენიმე შესაკრები იყოფე-
 ბოდეს რომელსაში რიცხვზე, რამდენიმე არა,
 მათი ჯამი-კი გაიყოს იმავე რიცხვზე (6+
 9+2+4); ან ვიდეუ: შესაძლებელია ერთი
 შესაკრები იყოფებოდეს რომელსაში რიცხვზე,
 რამდენიმე არა, მათი ჯამი-კი გაიყოს იმავე
 რიცხვზე (3+5+1): 3. მივეივს, რატომ
 ეს დებულება-კი არ მოიყვანა ბ-ნ ქალაგიძეს,
 ხომ მის მიერ მოყვანილთან სწორ უფლები-
 ნია! მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ გვარი დებუ-
 ლებანი შეტი ბარგია, რადგან სამზე გაყო-
 ფის წესის დასამტკიცებლად რიგობად დუო-
 ყილი რიცხვი ვიდეუ უნდა დაძალოს შესა-
 კრებებად, რომელნიც შეადგენენ ოს ან რამ-
 დენსაში სამზე გასყოფ ჯამს, და თვითველი
 ჯამი-კი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც
 ცალკე შესაკრები საერთო ჯამის—მოცემულ
 რიცხვის შესადგენად. უადგილობის გამო აქ
 ვისარკებლებ წიგნში მოყვანილ მაკალითით:
 ოთხმოცდა ცხრამეტებისკან, ცხრებისკან და
 ხუც გასმულ რიცხვებისკან შესდგება სამი
 ჯამი: 297, 36 და 9; ესენი თავის მხრივ
 შეადგენენ მოცემულ 342-ს შესაკრებებს,
 რომელთაც თვითველი უნაშთოდ სამზე
 იყოფა, ამიტომ მთელი რიცხვიც 3-ზე გაი-
 ყოფა.

ბ-ნ ქალაგიძის მოსახრება შესახებ ოდნო-
 ბისა (მისის ტერმინოლოგიით „სიდიდისა“)
 ახლ აღმოჩენად უნდა ჩათვალოს. საქმე ის

არის, რომ მე ვსხნი ამ ზოგად ცნებას, რო-
 გორც მათემატიკურ მეცნიერების მიერ მიღე-
 ბულია, ე. ი. სკან-მოვლენათა თვისების
 ცვალებადობით, მეტ-საჯლებობით, რაც შე-
 ადგენს სხობადლო მათემატიკის შესწავლის
 საგანს; შემდეგ გადავიფარ არითმეტიკის
 შესწავლის საგანზე—რიცხვზე, ე. ი. ოდუ-
 ნობის იმ კერძო მნიშვნელობაზე, რომე-
 ლიც წარმოსდგება ერთ გვარ სკანთა. თვა-
 ლით ან შედარებით. ასეთის ხსენით ბ-ნი
 ქალაგიძე არა კმყოფილდება. „მე მგონია,
 ამის იგი, რომ მარტო ცვალებადობით სკ-
 ნის თვისება სიდიდით არ გადაიტყუვა, მაგ.
 ფერი სკანის ცვალებადი თვისება (შავი,
 მოხავო...), მაგრამ შეუძლებელია ითქვას,
 რომ შეადგენდეს სიდიდე“. მანატიეთ—
 სტეებით. სკანმოვლენათა უოგელგვარი თვი-
 სება, რატომ ცვალებადობას განიხილს, რო-
 გორც იტყენ მიერ მოყვანილი მაკალითი აყ-
 რ და შეც დეუმეტებ—სითბო, ელექტრონი
 ძალა, მანძილი, დრო—ვევლა ეს ზოგად ოდუ-
 ნობის ცნებაში შედის. მეცნიერებაში სხობა-
 დოდ მიდილებულია: ვევადაუერი, რაც-კი ცვალე-
 ბადობს, მეტ-საჯლებობით წარმოგვიდგება,
 გაზომება ვიდეუც, სოლო სტეროთა იმ პრო-
 ტესისათვის, გაზომისათვის, სათანადო ერ-
 თუელის შერჩევა. როცა ავითუელ ზემოთ
 ჩამოთვილილ ოდენობას ერთუელს გამოეძე-
 ნით, მას შევადარებთ, შევადგად მივიღებთ
 რიცხვს, როგორც არითმეტიკის შესწავლის
 საგანს, მანამ კი იგი ითვლება ზოგად ოდუ-
 ნობის ცნებად. რეაბიურმა გამოაცოცის ტერ-
 მომეტრი, ოსთავისაც სითბოს სახომ ერთუ-
 ლად მიიღო გრადუსი, რის შემწობითაც
 შეგვიძლიან გაზომოთ და გავგოთ, რომ
 მაგ. დღეს ჭერის სითბო 10⁰-ა. აგრეთვე
 გაზომება ელექტრონი, ძალა, ფერი, გუთხე
 და სხ. უკეთუ რომელიმე თვისებისათვის არ
 მოიპოვება ჟერ სახომი ერთუელი, ეს კიდემ

იმას არ ნიშნავს, რომ იგი ოდენობას არ შეადგენდა. შეცნიერება თან და თან იგონებს ისეთ თავიკებათა სხვათა ერთეულებს, რომელთადაც წინათ აღამინს წარმოდგენა არა ჰქონია, და ამ საშუალებით შესაძლებლად ჰქონდა სხვადა ოდენობის რიცვის შეზავსად წარმოდგენას. განსვენებულმა პრაფ. თარხნიშვილმა ერთს თავის ლექციაზე მთავრისა დემონსტრაცია ახლად გამოგონილ მანქანისა, რომლის საშუალებით ტეხილ ხაზებით აღი-

ნიშნებოდა შავ ლაფაზე გრძნობათა დეკლავ; სავარისია იმ ხაზის ერთი მუხლი მივიდოთ ერთეულად, რომ გრძნობა გაიზომოს, რიცხვით გამოიხატოს. მაშასადამე, არამც-თუ ფერი, ისეთი განკენებული თვისება არსებისა, როგორც გრძნობაა, შედის ოდენობის ცნებაში და რიცხვითაც გამოიხატება, უკეთეს მის შეუერხეთ სხვათა ერთეული.

ეგ. ხრამელიაშვილი.
(შემდეგი იქნება)



მოწერილი ამბები

(წერილი ბათუმიდან)

ვარსულ თვეში რუსულ გაზეთ „ბატუმსკია ვესტი“ ფურცლებზე ცხარე კამათი ჰქონდათ გამართული გ. სოდორაშვილსა და გოგოლაძეს იმ პროექტის გამო, რომელიც ამას წინათ შეიმუშავა და ქალაქის სასკოლო კომისიას წარუდგინა ქ. ბათუმის და სავაისი სკოლების მასწავლებელთა კორპორაციამ. მოკლეთ საქმის ისტორია ასეთია: ქალაქის დაწვებითი სკოლები უმეტესათა სამ-განყოფილებიანია; მასწავლებლებს სასურველათ დაუნახავთ მეოთხე განუ. მიმატებაც, მაგრამ, რადგან იმელი არ ჰქონიათ ქალაქისაგან ეოველ ნაციონალურ სკოლასთან ცალკე განუ. გახსნისა უფულობის გამო, მათ ბევრი არ უფიქრიათ, ქალაქის მდგომარეობა სხეში მიუღიათ და შემდეგი პროექტი წარუდგენიათ: გაიხსნას ერთი შერეული მეოთხე განუ. ეველა ჩვილის სკოლების ბავშვებისათვისა. ამ ხაირათ მასწავლებლებს თითქოს ერთბაშათ ორი კურდღელი დაუქრიათ: განყოფილება გავხსნიათ და ქალაქიც შეტი ხარჯებისაგან გაუნთავისუფლებათ. კარგი და პეტროსანი, ერთბაშათ ორი კურდ-

ღლის დაჭერა დაიხაც ჩინებული ნადირობა, მაგრამ საუბედურათ ეს ორი კურდღელი ნამდვილათ ორი ბაჭის გამოდგა, ხოლო ორი დელო კურდღელი კი მონადირეებმა თავალიდან დაჭკარგეს.

შერეული განყოფილების გახსნამ მასწავლებლების პროექტის თანახმათ, მოითხოვა სამშობლო ენის, თუ სრულიად უარ-უოფა არა, მისი საკმაოთ მიფუჩეჩება მანდ, და ამ ხაირათ კაი ხანა დამარხულ მუნჯური მეოთხის აღდგენა.

აი, ამის გამო გაიმართა კამათი ბ. ბ. სოდორაშვილსა და გოგოლაძის შორის.

მასწავლებელთა კორპორაციის პროექტი აშკარაა, დიდს შეცდომას წარმოადგენს: სხვა და სხვა ერთგნებთა ბავშვების ერთ განუ. მოთავსება და მათი ერთ უცხო ენაზე სწავლება სამშობლო ენის დაუნარებლათ, ხოლო ამ უკანასკნელის დაქვეითება, როგორც მაგ. მუხუთ კაკვეითლზე გადატანა ან და მისი, როგორც ერთი ცალკე სკანის სწავლება, ისეთი დიდი დანაშაულობაა, რომ არ ემატება არა

თუ მასწავლებელს; არამედ მასაც, ვისაც რაიმე სადი წარმოდგენა კი აქვს სწავლა-აღზრდის საქმეზე.

სახოგადოთ სამშობლო ენის მნიშვნელობა სწავლა-აღზრდის საქმეში და განსაკუთრებით დაწვევით სკოლებში, და თვით უცხო ენის მისი საშუალებით სწავლებაც ეს ისეთი მართკი და თან სადი ზედაგოგიური შეხედულებაა ჩვენს დროში, იმდენათ ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ამაზე ღამნარკი ზედ-მეტად მიგვაჩნია. რიგიანი მასწავლებელი, ვინც სკოლაში, ამ წმინდა ტაძარში, ისე კი არ შედიოდა, როგორც ჩვეულებრივი მთავრობის მოხელე, არამედ როგორც ნამდვილი აღმზრდელი, მაშინაც კი სცდილობდა ამ ჭეშმარიტების დაცვას, როცა ჩვენი ჭკუის მასწავლებელი ბიუროკრატი მას ბურთს სჩრიდა ამოში და სამშობლო ენაზე სკოლაში ხმის ამოდებას მომაკვდინებელ ცოდავთ უთვლიდა. დღეს კი, როცა ეს ჭეშმარიტება რამოდენიმეთ მანინ თვით ამ ბიუროკრატამაც კი შეიგნო და შესამე სათათბირომაც ადიარა, სწორედ სამწუხარო მოვლენათ უნდა უნდა ჩაითვალოს, თუ რომელიმე მასწავლებელი არა თუ ფარათოდ არ სარკებლობს ამით, პირაქით, წინააღმდეგსაც აკეთებს. ამის წინააღმდეგის შტკიცება და ბათუმის მასწავლებელთა ზროექტის გამართლება უოვლად შეუძლებელია და გვაკვირვებს, თუ რათ შეეცადა ბ. სოდორაშვილი ამ შეუძლებელის შექლებას და მავის თითრათ მოჩვენებას. სხვა მის მოსახრებათა შორის, ხსენებულ ზროექტის დასაცავათ, ტუელია იმის შტკიცებაც, თითქოს სამი წლის განმავლობაში ბავშვებს იმდენათ შეეძლოთ რუსული ენის შესწავლა, რომ შეოთხეწედს არ გაუჭირდეთ ყველა საგნების ამ ენაზე სწავლა სამშობლო ენის დაუხმარებლათ. ანაც ცხად ჭკოთის არა ერთი და ორი წლის ზრაქტიკა სამასწავლებლო ახმარეზზე.

მაგრამ იქ იმდენათ ჩაუყარადლებოთ ის კი

არათ, რომ ბ. სოდორაშვილმა, როგორც არა ზედაგოგმა, შემცდარ ზედაგოგიურ ზროექტს გამოსარჩადა, არამედ ჩვენათვის უფრო საუურადლებათა შორე ცარეშობათა, სახელდობრ ის, თუ როგორ მოუვიდათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა თვით მასწავლებლებს, იმათ, ვინც თავისი მდგომარეობით სრულად წინააღმდეგს უნდა იცავდენ, ვინც ყოველის საშუალებით უნდა ებრძოდენ სკოლაში სამშობლო ენის მიფუწეჩებას და არა ზირიქით ხელს უწყობდეს მას.

ასეთი მარცხი რომ რომელსაშე შორეულ სოფლის მასწავლებელს მოსვლოდა, კიდეც როგორმე შესაწუნარებელი იქნებოდა; რა ქნას ზოგიერთ სოფლის საბრლო მასწავლებელმა, რომლის ურამდის ეგებ ჟურ არც კი მიუწევა სამშობლო ენაზე სწავლების ნებართვის ამბავს და ის მოხლოდ მისი ერთად ერთი ბატონ-პატრონის ინსპექტორის ცირკულარებით და მისი ჩაუერხეულებით ხელმძღვანელობს; ის ისეთ ზირობებში ეწევა თავის მძიმე მოვალეობას, რომ მას ვერ მოუხერხებია ერთად ერთი რიგიანი ქართული ზედაგოგიური ჟურნალის „განათ.“ გამოწერაც კი; აბა სხვა აურებულ ზედაგ. დიტრატურას რუსულ ენაზე ის ხომ მუდამ იყო და კახისსაც იქნება მოკლებული. ჩვენ ამით არ გვიანდა საესეებითი გაგამართლოთ სოფლის მასწავლებლები, მაგრამ არც ის გვიანდა დავაჯროთ, რომ, თუ გული გულობდეს, წლიურათ ორი მას. გამოღება ყურ. „განათლების“ შესაცხათ მანინ შეუძლებელი საქმე იფოს მათთვის. მაგრამ სოფლის მასწავლებლებს რადა უნდა უსაყვედროთ, როცა ცაცილებით უწეთეს ზირობებში მყოფთ ქალაქის მასწავლებლებშიც ბევრი მოიკნება ისეთი, რომელიც არა საკლებ ზერელე შეხედულებისათ თავის მოვალეობაზე და მისი ზედაგოგიური ცოდნა-გამოდდილებით ბევრ სოფლის მასწავლებელსაც კი ჩამორჩება. ასეთათ სხვათა შორის ქ. ბათუმის ზირველ-დაწვეათ (სახეში გვაქვს არა მარტო ქალაქის მ. — დაწ-

ეებითი სკოლები და სხვა დასავლ სკოლების ზოგიერთი მასწავლებელიც) და ჩვენ სრულიადაც არ გკავიყვირდება, რომ სხვალ ისეთივე მარცხი მოუვიდეს მეთრესაც და მესამესაც, როგორც ქალაქის მასწავლებელთა კორპორაციას მოუვიდა.

გასაკვირალია მაინც ქ. ბათუმის მასწავლებლების საქმე. ამ ქალაქში, მეტი თუ არა ოქაშდის ასე თუ ისე პროგრესულ მიმართულების მასწავლებელი მაინც იქნება და მათი არსებობა თითქმის აზავინ იცის. მდგომარეობით ისინი თითქმის ძალაღს ცოტათი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მიუხედავად ამისა მათ აქაშდის არა თუ ვერავითარი კავშირი და ურთიერთი შორის დამოკიდებულება გერ შუქნიანო, არამედ ხეირიანთ ვერც კი იცნობენ ერთმანეთს. თვითუკული მათგანი სავსებით თავისთავის ცხოვრებას და ხშირად ერთსა და იმავე სკოლაშიც კი არ იცნან ხეირიანთ თუ რას აკეთებს და რას წარმოადგენს მისი ამხანაჯი. იყო, მართალია, ერთი დრო, როცა რამოდენიმე შირ.—დაწ. სკოლების მასწავ-

ლებლებს ჰქონდათ ერთმანეთთან, თუ შეიძლება ასე ვითქვათ, პროფესიონალური დამოკიდებულება; მაგრამ, კარდა იმისა, რომ ეს იყო ის დრო, როცა ჰეირში სულ სხვა სენი ტრიალებდა და სხვანაირათ არსებობას არც შეიძლებოდა, სავსეღერათ მაშინაც ეს დამოკიდებულება უფრო ზირადულ კინკლაობითა სსზრდობდა, ვიდრე შეკნებული მუშაობით სავსათ სავსე. მიუხედავად ამისა, მას მაინც დიდი ნინიშნულათ ჰქონდა და მირი არსებობა სსურველი იყო შემდეგშიც: მისალოდნელი იყო კინკლაობას და ზირადულ ანკარიშებს ერთსედაც ბოლო მოუკებოდა და მასწავლებლები საქმეზე გადასულიყვენ, მაგრამ 'ზოგიერთებმა აღარ დაიცადეს; მათთვის ძნელი შეიქნა საამხანაგო დისციპლინა, ჩვენ საქმეს, ჩვენვე კავკეთობით" განაცხადეს და დემონსტრატულათ განშორდენ ერთმანეთს... თუ რავთორ აკეთებენ ისინი ამ თავიანთ სსქმეს" ამის ერთ უტყუარ საბუთს წარმოადგენს მათი ზემოხსენებული პროექტი.

ალაიციე.



წერილი სამეგრელოდან

ზოგიერთ მასწავლებლებს რომ ჰკითხოთ, რას შვრებიან ისინი სკოლაში, თამამად შოგიგებენ, რომ ასწავლიან რიგინან და წესიერად, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდეთ მათ სწავლებას — გულის გამსერავი სინამდვილე წარმოგიდგებათ თვალწინ, რომ დღევანდელი სკოლა მკედარი სკოლაა, მისი მიზანი არის მხოლოდ რუსული ენის შესწავლა; რუსული

ენა დგას ცენტრში, და ყველა სხვა საგნები იმას ემსახურებიან: არითმეტიკაც, გეომეტრიაც, გეოგრაფიაც, ისტორიაც, ბუნების-მეტყველებაც და სხვა.

ერთი საგნის ენა განსხვავდება მეორე საგნის ენისაგან. მაგ. ისტორიის ენა ძლიერ განსხვავდება ბუნების-მეტყველების ენისაგან, გეომეტრიის — გეოგრაფიისაგან და სხვა, რადგანაც გეოგრაფიაში და

გეომეტრიაში გვაქვს საქმე სულ სხვა და სხვა საგნებთან.

გეოგრაფიაში—ცის მნათობებთან, მიწის ნაწილებთან და მათს აწერილობასთან ზედა-პირის, ნიადაგის, გეოგრაფიულ მდგომარეობის, ჰაერის, მცხოვრებლების და მათი წარმოების მიხედვით; გეომეტრიაში—ხაზებთან, იმათ თვისებებთან, კუთხეებთან, სხვა და სხვა ფიგურებთან და იმათ დამოკიდებულებასთან; ბუნების მეტყველებაში—სხვა და სხვა ცხოველებთან, მცენარეებთან, ქვებთან, მანებთან, ჰაერთან და სხვა.

ჩამოთვლილი საგნების სწავლების მიზანი კი არ არის იმათი შესწავლა, როგორც ცოდნის შექმნა, რაც შეუძლებელია თვინიერ დედა-ენისა, არამედ რუსული ენის ყოველ-მხრივი შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ნორჩი თაობა ვერც ამ ენას სწავლობს და სულიერ-ხორციელად მახინჯდება.

გული გიკვდება კაცს, როდესაც ჰხედავ, რომ ბავშვი ალტაცებით იშვევრს თითს რაიმე ართიმეტრიკულ, ან გეოგრაფიულ, ან ისტორიულ ქართულად მიცემულს კითხვაზე და ჰმუნვით მალავს თითს იმავე კითხვაზე, მაგრამ რუსულად.

ამნაირად, როდესაც ზემოხსენებული საგნები ისწავლებიან არა იმ დედაენაზე, რომელიც დედამ შვილს მტკუნსთან ერთად შეაწოვა და რომელზედაც ბავშვმა პირველ რვა წლის განმავლობაში მიიღო იმდენი ცოდნა, რამდენსაც ის ვერ შეიტანს მთელს თავის სიცოცხლეში, გვიან მიღის ცოდნის მიღება ამ საგნებში, რადგანაც ნახევარზე მეტი დრო იმას უნდება, რომ გაუგებარ ენაზე გაგონილი

ბავშვს რამენაირად გააგებინოთ და ბევრი ვარჯიშობის შემდეგ გაუგებარ ენაზე აზვიროთ. ცოდნის შექმნასთან მკიდრად დაკავშირებულია სულის ძალების განვითარება. თუ პირველი გვიან მიღის, მეორეც, რასაკვირველია, გვიან წავა.

რადგანაც ბავშვი დიდს წამებაშია, როდესაც უნდათ გააგებინონ გაუგებარ ენაზე, პირველად, ფორმის ანუ ენის მხრივ, და მეორედ, შინაარსის მხრივ, ამ მუშაობაში ბავშვის როლი მკირდება და მასწავლებლის კი დიდდება; მუშაობაში ბავშვი ღებულობს ცოტა მონაწილეობას და მასწავლებელი კი დიდს, რაც პირდაპირ ანტიპედაგოგიურია. ეს მოვლენა ასუსტებს ბავშვებში აქტიურად, ენერგიულად და თავისუფლად მუშაობის ნიქს. ამიტომ ერთი მიზეზი ჩვენს ახალ-თაობაზე აღბეჭდილი აპპატივისა და უენერგიობისა სწორედ ეს არის.

ჩვენ მასწავლებლებმა უნდა მივაქციოთ ამ უკუღმართობას ყურადღება, რადგანაც ეს უკუღმართობა ყველაზე უფრო ჩვენ უნდა გვესმოდეს.

ფუჟია შერიგება უკუღმართობასთან, რასაც ჩვენ ჩავდივართ, რადგანაც ეს შერიგება უნაყოფოა, ვერ სპობს უკუღმართობას. ამიტომ ჩვენი ვალია საქმეს პირნათლად ვემსახუროთ, სიმართლეს პირდაპირ შევხედოთ და მტკიცედ დავიცვათ ის უფლებანი სამშობლო ენის შესახებ, რაც მონიკებული გვაქვს. რომ ბევრი ჩვენში სამშობლო ენასა მტრობს, ეს ცხადია, მაგრამ ჩვენი ვალია წინ აღუდგეთ უკუღმართობას და ნუ გავუხდებით მტრად ქვეყანას.

ს. მატრონაშვილი.



ბიბლიოგრაფია

1. Е. А. Пахомовъ. Монеты Грузии
4. I. Домонгольскій періодъ, СПб.
1910 г. გვ. I—129.

ქართული ნუმიზმატიკის მეცნიერულად შესწავლა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არის. ბროსეს, ბარათაშვილის, ბარტოლომეის, ლანგლუს შრომები ძლიერ დაძველებულნი არიან და სრულიად ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებას და იმ კითხვებს, რომლებითაც ამ ეამათ მიმართავენ მეცნიერები ამ ცოდნის დარგს. ნუმიზმატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ისტორიის გამოკვლევაში. ახალი შრომის ავტორი ბ. პახომოვი ცდილობს შეაფასოს ეს ნაკლი ჩვენ მეცნიერებაში და მართალი უნდა ვთქვათ, რომ მშვენიერი შრომა გვიძღვნა. ბ. პახომოვის შრომა ასწორებს ძველი ავტორების შეცდომებს, ძველი და უფრო დიდ ძალი ახალი მასალების შემწეობით იკვლევს ნუმიზმატიურ ნაშთებს. ავტორმა კარგათ იცის აღმოსავლეთის ენები, მათი შემწეობით ხსნის ჩვენ ფულებზედ არსებულ წარწერებს, ცდილობს აგრეთვე გამოიკვლიოს რა და რა დროს ეკუთვნის ის ფულები, რომლებზედაც არ არის ქრონოლოგიური ცნობანი. ავტორის მიზანია გამოიკვლიოს ჩვენი ნუმიზმატიკის ისტორია მე XVIII საუკუნემდე. დასაწყისი ძლიერ კარგია და ყველანი ქართული ისტორიის მოყვარულნი დიდ მადლობას მიუძღენიან ბ. პახომოვს. ძლიერ ძვირფასია წიგნის დამატებანი,

რიცხვით 9, ჩვენი ძველი ფულების მშვენიერი სურათებით. წიგნი მშვენიერათ არის გამოცემული რუსული არქეოლოგიური საზოგადოების მიერ.

2. О. Семинъ. Великая Годовщина. Аграрный вопросъ и крестьянская (крѣпостная) реформа на Кавказѣ. Кіевъ, გვ. I 164.

ბ. სემინის წიგნაკი ძლიერ რთულ და საყურადღებო კითხვას ეხება, რომელიც სრულებით არ არის შემუშავებული. ავტორი იკვლევს იმას, თუ რა შესძინა საქართველოს და კავკასიას საგლებო რეფორმამ. ავტორი ამტკიცებს ოფიციალური მასალების შემწეობით, რომ საქართველოს გლეხობის სილატაკე, მისი სიღარიბე შედგვია რეფორმის უკუღმართ მიმართულებისა. საქართველოს გლეხი მოკლებულია საკმაო მიწას, რაც აქვს, ის არ აკმაყოფილებს მას, სახელმწიფოს დახმარება ყოველთვის ფრთხალი და არა საკმარისი იყო. ღარიბ დაქვეითებულ კავკასიის გლეხობას თავზედ აწევს იმდენი სახემწიფო და საერო გადასახადი, რომ რაც დღე მიდის, უფრო და უფრო დაქვეითებას იგი ეტანება. დასასრულ ავტორი იკვლევს იმ პროექტებს, რომლებიც ამ ბოლოს დროს იყო დამუშავებული კავკასიის უმაღლესი მთავრობისაგან, თავდაზნაურებისა, სახელმწიფო სათათბიროს მე-4 წევრებისაგან შესახებ გლეხების და ბატონებისაგან დროებით დამოკიდებულების გაუქმებისა. ეს ნაწილი შრომისა

ძვირფასია. უკლ შთაბეჭდილებას ის ახდენს, რომ ავტორი ხშირათ მაღალ-მაღალ რიხიან სიტყვებს ისვრის, თავისთავათ უშინაარსოს, ისეთი ფურცლებია ალაგ-ალაგ, რომ დინჯ შრომაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა ო. სემინის წიგნის გაცნობა ყველასათვის საქირაოა, ვისაც ჩვენი დღევანდელი ჭირვარაში აწუხებს.

3. Проф. П. И. Ковалевскій—
Завоевание Кавказа. Исторические
очерки. Спб. гв. 1—334.

ბ. კოვალევსკი პსიხიატრი არის, მაგრამ უყვარს ისტორია და ხშირათ ვარჯიშობს ამ ნიადაგზედ, საუბედუროდ ძლიერ უშნოთ და სასირცხვოთ. მისი ისტორიული ნაწერები (ისტორიულ პირებს ეხება, როგორც პსიხიატრი)—სასაცილო რამ არის თავიდან ბოლომდე. ამ ახალ წიგნში ბატონი პროფესორი იმეორებს იმას, რაც დუბროვინმა და პოტომ, მაგაზედ კარგათ, უკვე გამოთქვეს. ახალი ერთი სტრიქონიც არ არის. მაგრამ ჩვენი მგნციერი ძველ ამბებს ახალი თვალთ უყურებს და აი ფისათვის არის წიგნი დაწერილი. აბა ისმინეთ, ვისაც შეგიძლია: რუსეთმა დაიმორჩილა კავკასია, საქართველო; რუსეთს ესენი არ უნდოდა,

რუსეთი ისედაც დიდი იყო, მაგრამ რუსეთმა შეიკოლა კავკასია, საქართველო, რომელსაც გლეჯდენ ურჯულოები, და იხსნა იმათი მტარვალი ხელისაგან. ასეთ საქციელისათვის რუსეთი მადლობის ღარსია, მაგრამ, დახეთ, კავკასიის წარმომადგენელი; „ვიღაც“ ჩხვიძე, გვეგუკორი, ზურაბიშვილი, მადლობის და პატივის ცემის მაგიერ, ლანძღვსა და გინების მეტს არაჲს აკეთებენო. ასე დახსომეს კავკასიელებმა რუსეთის ღეწლი! მთელი კავკასია რუსეთის სისხლით არის მორწყული და აი კავკასიის წარმომადგენელი მტრობის და ავგულობის მეტს არაფერს აჩენენ. არ ხედავთ, რა გვარი სამართლიანობა ხდება! დავიჯეროთ, რომ ყველადფერი ისე მოხდა, როგორც პროფესორი მოგვითხრობს. პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე ავტორი ზიზლით და გესლიანი ენით მოიხსენებს კავკასიას და ქართველებს; უშვერ და ლანძღვის სიტყვას საპატიო ადგილი აქვს ბ. პროფესორის კოვალევსკის წიგნში. წაეკითხოთ, ეს წიგნი და უფრო მალე დავივიწყოთ იგი. არ გამოვედავებით ავტორს, ღირსი არ არის.

ბ. ავალიანი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.



ყოველდღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეორე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

ს ა უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა .

დამატება გამოვ, კვირახდით

გაზეთის ფასი დამატებათა: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ. ღირს.

8 მან. 50 კაბ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაბ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი. აღრვისს გამოსაცვლელი ფასი 40 კაბ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3, 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაბ.

რედაქცია დაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ в
на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третий.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| | |
|------------------------------------|---------------|
| 4½ доставл. на домъ. Въ Тифлисѣ | Въ провинц. |
| На годъ 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода 3 руб. 50 коп. | 4 р. 50 к. |
| „ 3 мѣсяца 2 руб. — коп. | 2 р. 25 к. |
| „ 1 мѣсяць — 70 коп. | — 75 к. |

АДРЕСЪ: Тифлисѣ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисѣ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Ф. Д. Бебиенъ.

Издатели: } Кн. Г. Г. Амираджиби.
 } П. А. Готуа.

1911 წლის 10 იანვრიდან გამოვა
ორშაბათობით დღიური ლიტერატურ-
რული და პოლიტიკური გაზეთი

— თ ე ბ ი —

წლიურათ 2 მან. 50 კაბ. ნახევარი
წლით 1 მან. 50 კაბ. 3 თვით 1 მან.
ცალკე ნომერი 5 კაბ.

დროებით აღრვის: Эриванская
площ. д. Харазовой

რედაქტორ-გამომცემელი გრ.
ლიასაშიძე

Открыта подписка на 1911 г.

на еженедельную общественно-педагогическую газету

ШКОЛА И ЖИЗНЬ

съ ежемѣсячными приложениями.

Въ книжкахъ приложений, которые за годъ составлять около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранныхъ авторовъ, старыя классическія, или выдающіяся новѣйшія, или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложений будутъ посвящены памяти Л. Н. Толстого, Н. И. Пирогова и работамъ извѣстнаго нѣмецкаго педагога Кершенштейнера. Въ числѣ приложений—три сборника, спеціально посвященные нашей низшей, средней и высшей школь.

Подписная цѣна: на годъ на 6 м. на 3 м.
Съ доставкой и пересылкой въ города имперіи. 6 р. 3 р. 2 р.
Подписка принимается: въ Главной Конторѣ, Петербургъ, Кабинетская, № 18,
Издатели: Н. В. Мишуровъ и Г. А. Фальборкъ.

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიურა ქართული გაზეთი

„კოლხიდი“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, აფედროპოძის სახლი. ნელმოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს. ქ. ქუთაისის რედაქციის ქახელზე. გაზეთის ფასი პირველი აპრილიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური—ოთხი აბაზი.

თითო ნომერი მართი შაური

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—ორი შაური, დანარჩენ შემთხვევებში—ორი აბაზი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ნ ი:

ჭირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე—ორი შაური.

სამკვლევიანო განცხადება სამი მხეთი

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვბრტულ საპოლიტიკო და სალიტერატურა გაზეთ

„ქართულის მოამბე“-ზე

ფასი გაზეთისა წლიურათ 2 მან. 50 კაპ. 1/2 წლით 2 მან. 3 თვით 1 მან. თითო ნომერი ყველგან მართი შაური.

რედაქტორი: პ. ი. მეფისაშვილი, გამომცემელი: ევგ. გერმანი.
ადრესი რედაქციისა: მარინსკი პროსპ. № 6 სახ. მეტერბაშევისა.